INTERVIE
#3
აგვისტო/სექტემბერი
2014
7
ყველა
დროის
მთავარი
BEAUTY
რჩევა
რუსკა მაყაშვილი
მირიან ჯეჯელავა
ნინო ცქიტიშვილი
გიორგი ნაზღაიძე
ნინი
ბალურაშვილი
ახალი ცხოვრება
სინანულის გარეშე
იცით თუ არა რომელ
ეტაპზეა თქვენი
სასიყვარულო
ურთიერთობა
ლია ევგენიძე
მაღალლქუსლიანი
ფეხსაცმელი
და შლიაპები
SUMMER
GLOW
ISSN 2346-7703
9 772346 770008
ფასი 5 ლარი
ROYAL BATONI

FREYWILLE.COM | ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ
თბილისი რუსთაველის გამზ. 26 • TBILISI 26 Rustaveli Avenue +995 32 299 0957

ᲭᲔᲨᲛᲐᲠᲘᲢᲘ ᲮᲔᲚᲝᲕᲜᲔᲑᲐ

ულოდ მონეს მიმართ მიძღვნილი კოლექცია
ქივერნი

ინტერვიუ
აგვისტო/სექტემბერი
2014

CONTENT

32

მთავარი გმირი

ნინი ბადურაშვილი 42

„უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია და არასდროს არავის გამო არ დავთმობ ამას, ეს ზუსტად ვიცი“

ყდაზე:
ნინი
ბადურაშვილი

ფოტოგრაფი:
ZURA
KARTVELISHVILI

SPECIAL PROJECT

36 „ჩემი ცოლის დაქალები“
ერთი დღე გადასაღებ მოედანზე

ფსიქოლოგია

60 სასიყვარულო ურთიერთობის ეტაპები

TALKING ABOUT

52 ინტერვიუ წვერთან
დავით ლომიძე

EVENTS

88 TBILISI OPEN AIR 2014
91 ლანდშაფტის დიზაინისა და მებაღეობის გამოფენები

96 სამიზნე

გვ. 16

გვ. 12

მოდა

9 სათვალეები
10 მინიმალიზმი
11 მაქმანების ბუმი
12 საზღვაო სამოსი
14 საცურაო კოსტიუმები
16 MUST HAVE
18 როგორ ჩავიცვათ ბირკენსტოკები

STYLE

20 „მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩემი სისუსტეა, შემიძლია ვირბინო, ვიცეკვო“
ინტერვიუ ლიკა ევგენიძესთან

სილამაზე & ჯანმრთელობა

26 როგორ მოვუაროთ კანს, თმას და შევინარჩუნოთ ფორმა
ინტერვიუ ნინო ცქიტიშვილთან

32 ყველა დროის 7 მთავარი BEAUTY რჩევა

მოგზაურობა

64 თბილისი – დუბაი – ნეპალი – დუბაი – თბილისი
ანუკი ნაცვლიშვილი

ᲒᲒ. 94

ᲒᲒ. 36

ᲒᲒ. 9

ᲒᲒ. 18

10

ინტერვიუ
INTERVIEW

გოლფის ბურთი

VICE Pro

საათები

OMEGA
Seamaster
Planet Ocean
600 M

სათვალე

TOM FORD
Alana Aviator Sunglasses

გამომცემელი/PUBLISHER
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
ანუკი ნაცვლიშვილი/Anuki Natsvlishvili

არტ დირექტორი/ART DIRECTOR
თანადამფუძნებელი/CO-FOUNDER
სერგო კულიჯანოვი/Sergo Kulijanov

მთავარი რედაქტორი/EDITOR IN CHIEF
ნიკა გომართელი/Nika Gomarteli

კრეატიული დირექტორი/CREATIVE DIRECTOR
საშა პრიშვინი/Sasha Prishvin

მოდის რედაქტორი/FASHION EDITOR
ანანო დოლაბერიძე/Anano Dolaberidze

ლიტერატურული რედაქტორი/LITERARY EDITOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

ჟურნალისტები/JOURNALISTS
ნინო ლომიძე/Nino Lomidze
მარიამ პატატიშვილი/Mariam Patatishvili
სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
ნატა ბეშიძე/Nata Beshidze
თორნიკე ჩარგეიშვილი/Tornike Chargeishvili

დიზაინი/DESIGN
დავით სამსონიძე/David Samsonidze
სერგო ტიტენკოვი/Sergo Titenkov

ფოტოგრაფი/PHOTOGRAPHER
ზურა ქართველიშვილი/Zura Kartvelishvili

კორექტორი/CORRECTOR
ნატუკა ნაცვლიშვილი/Natuka Natsvlishvili

გაყიდვების დეპარტამენტი/SALES DEPARTMENT
ელენე ბუჩუკური/Elene Buchukuri
ნინი მაზმიშვილი/Nini Mazmishvili
ლიკა ნადირაშვილი/Lika Nadirashvili
სანდრო ჯავახიშვილი/Sandro Javakhishvili
გიორგი აღაშვილი/Giorgi Agashvili

აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF EXECUTIVE OFFICER – ქეთი ნაცვლიშვილი/Kathy Natsvlishvili
ოპერაციების აღმასრულებელი დირექტორი/CHIEF OPERATIONS OFFICER – ნინიკო ელიზბარაშვილი/Niniko Elizbarashvili
პროექტების მენეჯერი/PROJECTS MANAGER – ეკო ცეცხლაძე/Eko Tsetskhladze
საგზგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი/PR MANAGER – სოფიო დვალიშვილი/Sophio Dvalishvili
კლიენტსერვისის უფროსი/HEAD OF CLIENT SERVICE – გვანცა სალთხუციშვილი/Gvantsa Saltkhutsishvili
დისტრიბუტორი/DISTRIBUTOR – დავით კუპრაძე/David Kupradze
ბუღალტერი/ACCOUNTANT – მარინა ალექსაური/Marina Aleksauri

Flit Media publishing house

რედაქცია: საქართველო, თბილისი, 0102, ე. ახვლედიანის ხევი, 3; ტელ.: +995 322 946446; მარკეტინგის სამსახური: interview@flit.ge
გამოცემის თარიღი: 05.09.2014; გამომცემლობა „ფლიტ მედია“, საქართველო, თბილისი, 0102, ე. ახვლედიანის ხევი, 3; ელ.ფოსტა: flitmail@flit.ge
პერიოდული გამოცემა: გამოდის 2014 წლის აპრილის თვიდან.

EDITORIAL OFFICE: 3, E. Akhvlediani ravine, 0102, Tbilisi, Georgia; TEL.: +995 322 946446; FAX: +995 322 922898; MARKETING DEPARTMENT: interview@flit.ge

გამოცემაში გამოყენებულია ბესარიონ გუგუშვილის BPG DejaVu Sans Light, DejaVu fonts team-ს DejaVu Sans და FLIT Group-ს Flt interview 1 ფონტები

© შპს „ფლიტ მედია“, 2014
© Flit Media LLC, 2014

IWC
SCHAFFHAUSEN
SINCE 1868

JAEGER-LECOULTRE

Kidow
Paris

BREITLING
1884

Schoeffel

GIOVANNI
FERRARIS

Breguet
Depuis 1775

J.D
JAQUET DROZ

ROMAIN JEROME
DNA OF FAMOUS LEGENDS

Chronograph
watches & jewellery

PANERAI
LABORATORIO DI IDEE.

BOVET
1822

ZENITH
SWISS WATCH MANUFACTURE
SINCE 1865

Chopard

ERWIN SATTLER
MUNCHEN

Rebecca

BUBEN&ZŌRWEG

MARCO BICEGO

GP
GIRARD-PERREGAUX

თავისუფლების მოედანი 2,0105, თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 250 50 00 www.chronograph.ge

64

ყელსაბამი

ESHVI

გვ. 16

მთავარ

რედაქტორს არ აქვს შეცდომის დაშვების უფლება! წინააღმდეგ შემთხვევაში, მას მოუწევს ყველაზე მკაცრი მოსამართლის, მკითხველის, წინაშე წარდგეს. მაგრამ, მეორე მხრივ, არაფერი შეედრება იმ გრძნობას, რომელსაც რედაქტორი განიცდის ყოველი ახალი ნომრის გადაფურცვლისას.

ახლა რომ ჩემს პირველ რედაქტორის წერილს ვწერ, ნათელი მაგალითია იმისა, რომ ოცნებები სრულდება, რისთვისაც არ შემიძლია მადლობა არ გადავუხადო ანუკი ნაცვლიშვილს, იმისათვის, რომ ამის საშუალება მომეცა და გამომცემლობა „ფლიტ მედიას“ მთელ გუნდს, იმისათვის, რომ გვერდით მიდგას.

თამამად შემიძლია ვთქვა, რომ წინა თვე ჩემს ცხოვრებაში ყველაზე დატვირთული და საპასუხისმგებლო იყო. ყოველდღიური გადაღებები, ინტერვიუები და რამდენიმე ჟურნალზე პარალელურად მუშაობა. ჩვენ 24-საათიან რეჟიმში ვმუშაობთ, რომ ჩვენი მკითხველი კმაყოფილი დარჩეს საბოლოო შედეგით.

აგვისტო-სექტემბრის ნომერში თქვენთვის კარგად ნაცნობი არაერთი ახალგაზრდა, ლამაზი, თავდაჯერებული რესპონდენტი გვყავს. შევეცადეთ, ისინი სხვა კუთხით გაგვეცნო თქვენთვის. ასევე გაეცნობით ზაფხულის მთავარ ტენდენციებს მოდის სფეროდან, აქტუალურ რჩევებს იმის შესახებ, თუ როგორ მოვუაროთ თავს, ბევრ ახალ, სახალისო და ფერად რუბრიკას; ასევე გელოდებათ დაუვიწყარი მოგზაურობა დუბაისა და ნეპალში.

იმედს ვიტოვებ, კმაყოფილი დარჩებით და ინტერესით დაელოდებით შემდეგ ნომერს, რომელზეც უკვე მიმდინარეობს მუშაობა. მანამდე კი გისურვებთ ზაფხულის ბოლო თვის სასიამოვნოდ გატარებას და მრავალ პოზიტიურ შთაბეჭდილებას, რომელიც შემდეგ სამუშაო სეზონს მოგონებების სახით გაგილამაზებთ.

იკითხეთ INTERVIEW!

ნიკა გომართელი

Eco Mobil

დაზოგე თანხა და გაუფრთხილდი გარემოს

TOMASETTO-ს ექსკლუზიური დისტრიბუტორი
საქართველოში ეკომობილ ჯორჯია
გთავაზობთ:

ბუნებრივი აირის
მოხმარებით საწვავზე
დაზოგავთ
მინიმუმ 60%

III თაობის აპარატურა 400 ლარიდან;
IV თაობის აპარატურა 4 ცილინდრზე 700 ლარიდან;
IV თაობის აპარატურა 6 ცილინდრზე 850 ლარიდან;
IV თაობის აპარატურა 8 ცილინდრზე 950 ლარიდან;

*ფასები მოცემულია მონტაჟის ჩათვლით
ბალონის ღირებულების გარეშე

განვადება
გარანტია
სერვისი

TOMASETTO ACHILLE

componenta for LPG & CNG systems

BRC AG EUROPE GAS

მის: ე. ბეჟანიშვილის 8ა
266 21 12
ecomobilgeorgia@gmail.com
ecomobilgeorgia
ecomobil.ge

FREYWILLE ფრაიუილი

& ბლამეული
refined

FREY W**ILLE**-ს ახალი ჩანთისთვის – ***SOIREE VIENNOISE***, შთაგონების წყაროდ იქცა თანამედროვე სილუეტი და ფაქიზი მოხაზულობა. თანამედროვე ჩრდილები ცენტრალურ ადგილს იკავებენ მართკუთხა ფორმის და ამავდროულად დეკორატიული მინანქრით მორთულ ჩანთაზე. დიდი მნიშვნელობა ენიჭება დეტალების 24 კარატიანი ოქრთი და როდიუმ-პალადიუმით დაფერვას, რაც ჰმატებს კლატჩს მეტ ელეგანტურობას და ფოლადივით მტკიცე ელფერს.

26, Rustaveli Avenue, Tbilisi
www.freywille.com

Illesteva

Prada

Roland Mouret

Illesteva

Linda Farrow

Fendi

Gucci

Maison Martin Margiela

Le Specs

Saint Laurent

Prada

სათვალეები

Anna-Karin Karlsson

ისევე, როგორც კარგი ჩანთა და სამკაული უსვამს ხაზს ქალის გემოვნებას, *სათვალეც* ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი დეტალია, მით უმეტეს, თუ **2014** წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციებიდან ავარჩევთ ჩვენთვის სასურველ მოდელებს.

The Row

მინიმალიზმი

მინიმალიზმი, როგორც კონცეფცია, 2014/2015 წლის გაზაფხული/ზაფხულის კოლექციების ერთ-ერთი ყველაზე აქტუალური ტენდენციაა. სისადავით წარმოჩენილი გემოვნება, დახვეწილობა და ელეგანტურობა - ასეთი სტილის სამოსი მოგცემთ საშუალებას, გამოიყურებოდეთ ყოველთვის განსაკუთრებულად და დაგეხმარებათ ზომიერებაში.

All Spring/Summer 2014: **1**. ***Tess Giberson***; **2**. ***Ports 1961***; **3**. ***Jil Sander***; **4**. ***Calvin Klein Collection***; **5**. ***Alexander Wang;*** **6**. ***Reed Krakoff***; **7**. ***Victoria Beckham***; **8**. ***Proenza Schouler***; **9**. ***3.1 Phillip Lim***; **10**. ***MaxMara.***

MSGM

Emilio Pucci

Theory

Burberry London

Burberry Prorsum

Valentino

Erdem

Derek Lam

მაქმანების ბუმი

Christian Dior

Lela Rose

Valentino

Dolce & Gabbana

Erdem

Christopher Kane

Jason Wu

Chloé

Erdem

Chloé

სათვალე
Prada

ხელჩანთა
Marc by Marc Jacobs

Missoni Resort

პერანგი
Tory Burch

საზღვაო
სამოსი

საზღვაო კოლექციები ყოველთვის გამორჩეულია ფერებითა და იდეებით. კონკრეტული სტილი არასდროს არის წარმოდგენილი. მოდის სახლები გვთავაზობენ როგორც ყოველდღიურ, ფერად, ისე კლასიკურ საცურაო კოსტიუმებს. ეცადეთ, დიდი აქცენტი გააკეთოთ ქუდებზე, ჩანთებსა და სათვალეებზე, აქსესუარი ხომ ერთ-ერთი მნიშვნელოვანი დეტალია ადამიანის ჩაცმულობაში.

სანდლები
Valentino

ქუდი
Hat Attack

Chanel Resort

ქუდი
Eugenia Kim

სათვალე
The Row

ხელჩანთა
Marni

ტოპი
Helmut Lang

სანდლები
Givenchy

ხელჩანთა
Marc by Marc Jacobs

სათვალე
Prada

Kenzo Resort

სანდლები
Isabel Marant

კაბა
LemLem

ქუდი
Melissa Odabash

Christian Dior Resort

სათვალე
Le Specs

სანდლები
Stella Mccartney

ტოპი
Prism

შორტი
Finds

სანდლები
Sophia Webster

კაბა
Oscar de la Renta

სათვალე
Oliver Peoples

Jason Wu Resort

მოსაცმელი
Lisa Marie Fernandez

კაბა
Heidi Klein

ქუდი
Emilio Pucci

სათვალე
RAY-BAN

ესპადრელი
Missoni Mare

ქუდი
Lanvin

სათვალე
Miu Miu

პერანგი
Missoni

Rochas resort

Preen Resort

ჩანთა
Dolce & gabbana

ესპადრელი
Valentino

Michael Kors Resort

Jason Wu Resort

Dolce & Gabbana

Lolli Cake Walk

Zimmermann

Zimmermann

T by Alexander Wang

Stella McCartney



Norma Kamali

HERVÉ LÉGER

Mikoh

საცურაო
კოსტიუმები

წელს Resort დიზაინერები ისეთივე აქცენტს აკეთებენ *საცურაო კოსტიუმებზე*, როგორც მთლიან კოლექციებზე. წარმოდგენილი აქვთ სპორტული, თავისუფალი და კლასიკური სტილის კოსტიუმები. არჩევანში ნამდვილად არ ხართ შეზღუდულები, მთავარია, შეჩერდეთ ისეთ საცურაო კოსტიუმზე, რომელიც თქვენს ფიგურას უფრო მოხდენილს გამოაჩენს.

Preen Resort

Mara Hoffman

Triangl

Mary Katrantzou
Dolce & Gabbana
Heidi Klein
Christian Dior Resort
Emilio Pucci Resort
Chanel Resort
DKNY Resort
Erdem
Erdem
LBR
Zimmermann
Filles à Papa
TOO COOL FOR SCHOOL
Juicy Couture
Missoni
Lisa Marie Fernandez
Rick Owens
Kenzo
T by Alexander Wang

1. ყელსაბამი ***Kenneth Jay Lane***; **2.** ბეჭედი ***Astley Clarke Colour Ring***; **3**. სათვალე ***Stella McCartney***; **4**. სათვალე ***Dolce & Gabbana***; **5**. სათვალე ***Linda Farrow***. **6**. Iphone-ს ჩასადები ***Moschino***; **7**. ტუჩსაცხი ***Estee Lauder*** ; **8**. საფულე ***Givenchy***; **9**. სუნამო ***Cartier***

Must have

1

3 5

2

4

6

8

7

9



10. ყელსაბამი ***Bijoux Heart***; **11.** საყურე ***Shourouk***; **12**. ქუდი ***Maison Michel***; **13**. საათი ***Casio***; **14**. ყელსაბამი ***Eshvi***;
15. ჩანთა ***Proenza Schouler***; **16**. ზურგჩანთა ***The Row*** **17**. ზურგჩანთა ***Chanel***; **18**. ზურგჩანთა ***3.1 Phillip Lim***;
19. ჩანთა ***PIERRE HARDY***; **20**. ფეხსაცმელი ***Valentino***; **21**. კედი ***Celine***. **22**. ფეხსაცმელი ***Givenchy***;
23. ფეხსაცმელი ***Birkenstock***; **24**. ფეხსაცმელი ***Ketevane Maissaia for More is Love***; **25**. ბოტასი ***Mariam Gvasalia***

1

2

All Spring/Summer 2014: **1**. ***Finds***; **2**. ***Alexander McQueen***; **3**. ***3.1 Phillip Lim***; **4**. ***Kenzo***; **5**. ***Birkenstock***

3

4

5

როგორ ჩავიცვათ ბირკენსტოკები

6

7

8

9

სეზონის ჰიტი – ***BIRKENSTOCK***, ყველაზე კომფორტული და მოდური ფეხსაცმელია, რომელიც შესაძლებელია, ყველანაირ სტილს მოარგოთ და გამოიყურებოდეთ მოდურად.

All Spring/Summer 2014: **6**. ***Linda Farrowm***; **7**. ***Vivienne Westwood***; **8**. ***Elizabeth and James***; **9**. ***Birkenstock***

10

11

12

13

All Spring/
Summer 2014:
10. ***Isabel Marant***;
11. ***Maiyet***;
12. ***Fendi***
13. ***Birkenstock***

14

16

15

17

18

All Spring/
Summer 2014:
14. ***Isabel Marant***;
15. ***Illesteva***;
16. ***3.1 Phillip Lim*** **17**. ***Proenza Schouler***;
18. ***Birkenstock***

LIKA EVGENIDZE

ლიკა ევგენიძე

ელეგანტური და მომხიბვლელია. კარგად იცის საკუთარი თავის ფასი. მისი სისუსტე ფეხსაცმელია. თავის მოვლის განსაკუთრებული მეთოდები არ აქვს, სილამაზე მას გენეტიკურად ერგო. ყოველდღიურად ვარჯიშობს და ცდილობს, იმისთვის, რომ ფორმაში იყოს, 7 საათის შემდეგ არ ჭამოს. დღეს ლიკა ნიუ-იორკში ცხოვრობს და მოდის ტენდენციებს თვალყურს ოკეანის მიღმა ადევნებს. INTERVIEW-ს სტუმარია ტელეწამყვანი ლიკა ევგენიძე.



INTERVIEW. ლიკა, რა ფერია თქვენი სამყარო?

LIKA EVGENIDZE. ჩემი სამყარო ზოგჯერ ფერადია, ზოგჯერ კი – შავთეთრი. მისი გაფერადება ხშირად თავად მიწევს. როგორი იქნება სამყარო, ადამიანზეა დამოკიდებული, თითოეულ ინდივიდზე. მთელი ცხოვრების განმავლობაში, დაბადებიდან გარდაცვალებამდე, ადამიანი იკვლევს და შეიცნობს სამყაროს. ამ ყველაფერთან ერთად, ადამიანებს ხშირად საკუთარი თავის შეცნობაც გვიხდება, ხოლო სამყაროს შეცნობისაკენ სწრაფვა არ მთავრდება.

I. ტანისამოსი – რა ფერებს ანიჭებთ უპირატესობას?

L. E. ჩემი გარდერობი ძალიან მრავალფეროვანია. თუმცა კონკრეტული ფერები არ დომინირებს. ყოველდღიურად ხასიათიდან გამომდინარე ვიცვამ. დიდი მნიშვნელობა აქვს განწყობას. მიყვარს ყველანაირი ფერის ტანისამოსი, შავთეთრი და ჭრელი ტონები.

I. ძირითადად როგორ ტანისამოსს ანიჭებთ უპირატესობას, სპორტულს თუ კლასიკურს?

L. E. კლასიკურად ჩაცმა ძალიან მიყვარს, მიხდება და ჩემი სტილია. მომწონს მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და, შესაბამისად, ყოველთვის ელეგანტურად ჩაცმული დავდივარ. რაც შეეხება სპორტულ ტანისამოსს და „ბოტასებს", ეს ჩემი სტილი არ არის. დაბალძირიან კედებს მხოლოდ მაშინ ვიცვამ, როდესაც მჭირდება. ნიუ-იორკის ქუჩებში ყოველდღიურად სპორტული ფეხსაცმელი უნდა გეცვას. თუ დიდ მანძილზე გამყავს ბავშვები სასეირნოდ, მაშინ „კედებით" გავდივარ.

I. რაიმე ნივთი თუ გაქვთ, რომელიც გამორჩეულად მოგწონთ?

L. E. ერთი წლის ვიყავი, როდესაც დედაჩემის მეგობარმა მაჩუქა სათამაშო, რომელიც დღემდე ჩემ თვალწინ და ჩემთან ერთად იზრდება. თილისმასავით მაქვს ეს თოჯინა. სადაც მივდივარ, სულ თან მიმაქვს. ნიშანდობლივია, რომ ამ ლამაზ, ფუმფულა სათამაშოს მუცელზე აწერია – Let's Make History. ჩვენ ერთი ისტორია გვაქვს.

I. ლიკა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი...

L. E. ეს ჩემი სისუსტეა. შემიძლია ვიცეკვო, ვირბინო როდესაც მაღალქუსლიან ფეხსაცმელს ვატარებ. სტუდენტობის დროს ცუდად დავვარდი და მას შემდეგ ხერხემლის პრობლემები მაწუხებს, ამიტომ დაბალძირიან ფეხსაცმელს ვერ ვიცვამ, საშინელი ტკივილები მეწყება. იმისთვის, რომ კომფორტულად ვიგრძნო თავი, მთავარია ფეხსაცმელს 5 სანტიმეტრიანი ქუსლი მაინც ჰქონდეს. ეს ჯანმრთელობისთვისაც სასარგებლოა. ვფიქრობ, რომ ფეხსაცმელი ქალისთვის საკმარისი არასდროს არ არის. ამიტომ როგორც კი მაღაზიაში შევდივარ, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელების განყოფილებისაკენ მივდივარ.

I. აქსესუარებიდან რას ანიჭებთ უპირატესობას?

L. E. ძალიან მიყვარს თავსაბურავები, ქუდები, შლაპები... წელიწადის ოთხივე სეზონის შესაფერისი შლაპები მაქვს. მიყვარს საყურეები და მძივებიც. ლამაზი შარფი ჩემთვის კარგი გამოსავალია, რომ კარგად და მოდურად გამოვიყურებოდე.

I. იმისთვის, რომ თავდაჯერებულად და კომფორტულად იგრძნოთ თავი, როგორ ფორმაში უნდა იყოთ? >

მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩემი სისუსტეა

ძალიან **მიყვარს**

თავსაბურავები, ქუდები, შლაპები.

წელიწადის **ოთხივე**

სეზონის შესაფერისი

შლაპები მაქვს

L. E. არ უნდა მაწუხებდეს ზედმეტი კილოგრამები, უნდა მეცვას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი და განწყობა უნდა მიწყობდეს ხელს ხალისიანი გარემოს შესაქმნელად.

I. რა არის თქვენი სისუსტე?

L. E. ფეხსაცმელი და ჩანთა.

I. საინტერესოა, ყოველდღიურად როგორ გამოიყურება თქვენი ჩანთა, იმის გათვალისწინებით, რომ ორი ბავშვის დედა ხართ?

L. E. ყოველდღიურად მსუბუქი, პატარა ზომის ჩანთით დავდივარ. აუცილებელია, ჩანთაში მედოს ტუჩსაცხი და კონტური. ნიუ იორკის ქუჩებში ხშირად მიწევს სიარული, სეირნობა ბავშვებთან ერთად, ამიტომ ეტლზე მიმაგრებული მაქვს დიდი ზომის ჩანთა, რომელშიც ყველა ის საჭირო ნივთი მიდევს, რაც შეიძლება, რომ ორი შვილის დედას დასჭირდეს.

I. თმის ვარცხნილობასთან დაკავშირებით, რამდენად ხშირად მიმართავთ ექსპერიმენტებს და განსაკუთრებული მოვლის წესი თუ გაქვთ?

L. E. რაც თავი მახსოვს, სულ გრძელი თმა მაქვს. იშვიათად ვიჭრი. მახსოვს, ერთხელ, სკოლის პერიოდში, ე.წ „კარე" შევიჭერი; მას შემდეგ მსგავსი გადაწყვეტილება არ მიმიღია. გრძელი თმა ძალიან მოსახერხებელია, როგორ ვარცხნილობასაც გინდა, ისეთს გაიკეთებ. ექსპერიმენტების მოყვარული ამ საკითხში არ ვარ. თმას ბოლომდე არასდროს ვიღებავ. წელიწადში ერთხელ მხოლოდ გახუნების ეფექტს ვიკეთებ. იშვიათად დავდივარ საპარიკმახეროში. მარტივად მოსავლელი თმა მაქვს, მხოლოდ ნიღაბით და ვიტამინებით ვატენიანებ.

I. დასვენების დღე – როგორ ატარებთ შაბათ-კვირას?

L. E. ჩვენ ნიუ-იორკში ვცხოვრობთ. დასვენების დღეები დღესასწაულია. ყველანი ერთად ვიკრიბებით, დავდივართ პარკში სასეირნოდ, გავდივართ ქალაქგარეთ. ბავშვები ბალახზე დარბიან, ჩვენ ვისვენებთ. ზოგჯერ კინოში დავდივარ მეგობრებთან ერთად, რესტორანში და ა.შ.

I. როგორ ახერხებთ მუდმივად ფორმაში ყოფნას?

L. E. ვარჯიშით და სწორი კვებით. ყველა ადამიანს საკუთარი რეჟიმი აქვს, არ მიყვარს დიეტა. ვცდილობ, კვების რაციონში ყოველდღიურად შევიტანო სასარგებლო პროდუქტი: ხორცი, თევზი, ქათამი, ბოსტნეული, ხილი. რაც მთავარია, მყოფნის ნებისყოფა და საღამოს 7 საათის შემდეგ საკვებს აღარ ვეკარები. პერიოდულად დავდივარ პილატესზე.

I. ტანისამოსის ყიდვის დროს რას უფრო მეტად აქცევთ ყურადღებას, ხარისხს, მარკას თუ?...

L. E. პირველ რიგში, ჩემთვის მთავარია ესა თუ ის სამოსი, რომელსაც მაღაზიაში შევიძენ, მომეწონოს და მომიხდეს. ჩემი გარდერობი საკმაოდ მრავალფეროვანია. უამრავი ბრენდის ტანისამოსს აღმოაჩენთ; მაქვს ქართველი დიზაინერების მიერ შექმნილი ტანსაცმელიც. მთავარია კომფორტულად გრძნობდე თავს. ძირითადად, გართულება, როგორც გითხარით, ფეხსაცმელზე მაქვს. სადაც მაღაზიაში შესვლისას პირველად მივდივარ ფეხსაცმლის განყოფილებაში. ვფიქრობ, რომ თუ ადამიანს კარგი ფეხსაცმელი აცვია ე.ი გემოვნებიანი ჩამცმელია.

სოფიო დვალიშვილი

ქალი



ყველაზე მეტად



მიმზიდველი არის

ლამელი

ჯანმრთელობა და სილამაზე – ერთად და ცალ-



ცალკე, როგორ შევინარჩუნოთ ფორმა, როგორ



მოვუაროთ კანს და თმას, როდის არის მისაღები



პლასტიკური ქირურგია. რჩევები INTERVIEW-ს



მკითხველს სამოდელო სააგენტო LookModels-ის



დამფუძნებლისგან, ნინო ცქიტიშვილისგან

რჩევა ქალებს:

პრესტიჟს მიბოვით

ოპტიმისტურად ფიქრი

INTERVIEW. **ჯანმრთელობა და სილამაზე...**
NINO TSKITISHVILI.
ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ორივეს შენარჩუნება ძალიან მნიშვნელოვანია. და არა მარტო ჩემი პროფესიიდან გამომდინარე, ყველა ადამიანისთვის, სილამაზესთან ერთად, ჯანმრთელობა და ჯანსაღი ცხოვრების წესი უმნიშვნელოვანესია. თუმცა, ასევე დიდ როლს თამაშობს გენეტიკაც.











I. **ფორმის შენარჩუნების წესი, რომელიც ცხოვრების წესად გაიხადეთ...**
N. T. მაქსიმალურად ვცდილობ, ჯანსაღი ცხოვრების წესი არ დავარღვიო. ეს არის ჯანსაღი კვება და ვარჯიში. ვერ გეტყვით, მთელი ცხოვრება ვვარჯიშობდი-მეთქი. ვარჯიში დავიწყე ბოლო სამი წელია, იმიტომ, რომ მივხვდი, სხეულს ეს სჭირდება.

I. **მავნე ჩვევა, რომელსაც ვერ მოერიეთ...**
N. T. ვერ ვიხსენებ, ასეთი ჩვევა არ მაქვს.

I. **ყველაზე დიდი მოტივაცია...**
N. T. ცხოვრებაში ჩემთვის ყველაზე დიდი მოტივაცია არის საქმე, რომელსაც ვაკეთებ და ჩემი ოჯახი – ჩემი ბავშვები.

I. **ქალში ყველაზე მეტად მიმზიდველი არის...**
N. T. ღიმილი, ერთმნიშვნელოვნად ღიმილი.

I. **ამბობენ, რომ ქალის სილამაზე მის თვალებში ჩანს, თქვენ როგორ ფიქრობთ?**
N. T. ვეთანხმები. თვალებიდან გაიგებ ადამიანის ბუნებას, ხასიათს, სილამაზესაც. თვალები ბევრ რამეზე მეტყველებს. მაშინვე მიხვდები, ადამიანი რას წარმოადგენს. განსაკუთრებით კარგად ჩანს ეს ყველაფერი ფოტოზე.

I. **ასაკი – შიში თუ თავდაჯერებულობა?**
N. T. შიში – არა, ალბათ უფრო თავდაჯერებულობა. ასაკის არ მეშინია.

I. **როდის გრძნობთ თავს ყველაზე თავდაჯერებულად?**
N. T. როცა წარმატებით გამომივა საქმე, რომელსაც ხელს მოვკიდებ.

I. **დიეტა თუ ვარჯიში?**
N. T. ორივე ერთად – დიეტაც და ვარჯიშიც ერთობლივად, სხვაგვარად გამორიცხულია.

I. **დილას როგორ იწყებთ?**
N. T. ჩემი დილა ყოველთვის იწყება რვა საათზე, ბავშვებზე ზრუნვით და, რაღა თქმა უნდა, საუზმით. საუზმე ძალიან მნიშვნელოვანია. შეიძლება მთელი დღის განმავლობაში არაფერი ჭამო, მაგრამ საუზმე 9-დან 10 საათამდე აუცილებელია.

I. **რას არ ჭამთ არასდროს?**
N. T. ცხიმიან საკვებს. >





I. რა აზრის ხართ პლასტიკურ ქირურგიაზე?
N. T. რომ მჭირდებოდეს, გავიკეთებდი, მაგრამ ჯერჯერობით ამის საჭიროებას ვერ ვხედავ. თუ ქალს კორექცია სჭირდება და უნდა უკეთ გამოიყურებოდეს – რატომაც არა, ამას მივესალმები. თუმცა, რაღა თქმა უნდა, არ ვგულისხმობ იმას, დამოკიდებულები რომ ხდებიან და კატასტროფულ შედეგებამდე მიდიან. ცოტა ხელის შევლება მისაღებია.

I. კანს არა მკვებავი, არამედ ჯანსაღი კვება სჭირდება?
N. T. ნაწილობრივ ვეთანხმები, ჯანსაღი კვება და ამასთან ერთად მკვებავიც. ვიტამინები, კარგი, ხარისხიანი კოსმეტოლოგიური პროდუქცია და ჯანსაღი კვება კანის მოვლის საუკეთესო საშუალებაა.

I. მაკიაჟი...
N. T. მაკიაჟს დიდი მნიშვნელობა ენიჭება კანის მოვლაში. ყოველთვის განსაკუთრებულად უნდა მიუდგეთ, თუ გინდათ, რომ კანი კარგ ფორმაში იყოს და ჯანსაღად გამოიყურებოდეს.

I. ძილი...
N. T. აუცილებელია, რადგან აისახება არა მარტო ადამიანის მენტალურ მდგომარეობაზე, არამედ ფიზიკურზეც. რვა საათი აუცილებლად უნდა გამოიძინოს ქალმა, იმისთვის, რომ უფრო ახალგაზრდად გამოიყურებოდეს და წონაც შეინარჩუნოს. სწორი ძილი ორგანიზმში წონის სწორ ბალანსს იწვევს.

I. რა არის ყოველთვის თქვენს ჩანთაში?
N. T. სარკე და ტუჩსაცხი, ეს უკანასკნელი ჩემი საყვარელი კოსმეტიკური საშუალებაა.

I. საყვარელი არომატი...
N. T. დოლჩე გაბანას „ლაით ბლუ", რომელიც ძალიან მიყვარს. არომატებს ხშირად ვიცვლი, რადგან ყოველთვის მაინტერესებს ახალი სუნამოები.

I. მთავარი აქსესუარი...
N. T. მზის სათვალე.

I. სოლარიუმი თუ მზის სხივები?
N. T. მზის სხივები, ისიც ზომიერად.

I. რა არის საუკეთესო თმისთვის?
N. T. ნიღაბი, პარალელურად თმის სპეციალური ვიტამინები: A, B და E. ნიღაბი უმჯობესია არა მაღაზიაში ნაყიდი, არამედ ნატურალური, სახლში დამზადებული. მე ვამზადებ და მაქვს ჩემი რეცეპტი. ვცდილობ, რომ კვირაში ორჯერ გავიკეთო. ეს, შეიძლება ითქვას, რომ ჩემი აღმოჩენაა.

I. სპა პროცედურები...
N. T. ძალიან კარგია, მე ძალიან მომწონს და ხშირად მივმართავ. არის როგორც განტვირთვის საშუალება, ისე არაჩვეულებრივია სხეულის მოვლისთვის და კანისთვის.

I. სტრესული დღის შემდეგ რა არის რელაქსაციის საუკეთესო საშუალება?
N. T. მეგობრებთან ერთად სადმე გასვლა და ერთი ჭიქა კონიაკის დალევა.

I. რას ურჩევთ ქალბატონებს? არასოდეს შეწყვიტოთ...
N. T. ღიმილი, რაც ქალისთვის აუცილებელია. ასევე ვურჩევ, არასდროს მოდუნდნენ და არ ჩაიქნიონ ხელი. ყოველთვის იყვნენ ოპტიმისტურად განწყობილნი. არასდროს მიატოვონ ოპტიმისტურად ფიქრი.

მარიამ პატატიშვილი

PHOTOS: საბოდელო საგენტო LOOKMODELS-ის პროვიდან

PHYTO PARIS

PHYTOGLOSS-ფიტოგლოსი

ინოვაციური საშუალება თმის ტონირებისთვის

შეღებილი მელირებული გაუფერულებული თმისთვის

მღებავი მცენარეების პიგმენტები: დარიჩინი, ყვავილწვერა, თაფლის ექსტრაქტი, კაკაოს ცხიმი, ბრაზილიური ხე, თმას იდეალურად გაჯერებულ ფერსა და ბზინვარებას ანიჭებენ!

მანგოს ზეთი: მკვებავი კომპონენტებისა და ამინომჟავების მაღალი შემცველობის შედეგად კვებავს და აჯანსაღებს თმას მთელს სიგძეზე

ვიტამინი E: მაღალი ანტიოქსიდანტური თვისებების შედეგად იცავს და ინარჩუნებს თმის ფერს ხანგრძლივი დროით.

თალგამურას ზეთი: არბილებს თმას და აიოლებს მის დავარცხნას.

ორმაგი მოქმედება: ტონირება /კვება •
95% ნატურალური ინგრედიენტები •
არ შეიცავს ამიაკს •
მოქმედებს 5 წუთში •

ჯიპისი GPC

Photos: Diliana Florentin, ELLE magazine Bulgaria

7 beauty

ყველა დროის მთავარი რჩევა

1 **მაკიაჟისთვის** სახის მომზადება მნიშვნელოვანი ეტაპია და მისი გამოტოვება ნამდვილად არ ღირს. დეკორატიული კოსმეტიკის გამოყენებამდე კანი სათანადოდ უნდა დამუშავდეს. პირველ რიგში, საჭიროა გაწმენდა. უმჯობესია, სახის კანისთვის განკუთვნილი კრემისებური ფორმულის ნაზი საპნები შეარჩიოთ კანის ტიპის მიხედვით. ამგვარი საპონი ზედმეტ ცხიმს და ძველი კოსმეტიკის ნარჩენებს მოგაცილებთ. დასაშვებია ლოსიონის გამოყენებაც.

დატენიანება

სუფთა სახის კანზე დამატენიანებელი საშუალება ასაკის გათვალისწინებით უნდა წაისვათ. თუ თქვენი ასაკი არ აღემატება 25 წელს, ფრთხლად დაიდეთ დამატენიანებელი კრემი და დაელოდეთ სრულ შეწოვას. 25-იდან 35 წლამდე ასაკის ქალებს კი სპეციალისტები იმავე მიზნისთვის მკვებავი საცხის გამოყენებას ურჩევენ. 35 წლის ზევით მაკიაჟის დაწყებამდე საუკეთესო შედეგის მისაღებად ისვამთ მკვებავ საცხს და შემდეგ უკვე დამატენიანებელ საშუალებას. ასე კანი გარანტირებულად იქნება დაცული გამოშრობისგან და ახალი ნაოჭების წარმოქმნის პროცესიც შეფერხდება.

მასაჟი

კანმა ბოლომდე უნდა შეიწოვოს კრემი. იმისთვის, რომ კანს „მიეხმაროთ“, სასარგებლოა მსუბუქი მასაჟი. მარტივი მოძრაობები შეუცვლელ შედეგს გამოიღებს – თავდაპირველად ხელისგულები ლოყებსა და შუბლზე მიიჭირეთ, ეცადეთ, კანი „შეათბოთ“ საკუთარი სხეულის სითბოთი. შემდეგ საქმეში წრიული, სწრაფი მოძრაობები ჩართეთ. შუბლი უნდა „გადაუთოვდეს“ ცხვირიდან – საფეთქლების მიმართულებით, ლოყები – ცხვირიდან პერიფერიებისკენ. მასაჟის დასრულების შემდეგ სუფთა, ერთჯერადი ხელსახოცით ჩამოიშორეთ კრემის ზედმეტი ცხიმი – უბრალოდ დაიფინეთ ხელსახოცის ერთი თხელი ფენა სახეზე და რამდენიმე წამში ჩამოიშორეთ – სახის კანი მზადაა მაკიაჟისთვის!

სამი სახელი - ერთი მიზანი!

სახის თანაბარი ფერის და ბუნებრივი მაკიაჟის ეფექტის მისაღებად მნიშვნელოვანია საიმედო ბაზისის შექმნა. ამას ფუძეს ან პრაიმერსაც უწოდებენ სპეციალისტები. სწორედ მისი დახმარებით იქმნება კარგი საფუძველი დეკორატიული კოსმეტიკის დასადებად. ტერმინების მრავალფეროვნების მიუხედავად მისი მთავარი მიზანია გლუვი, უდეფექტო კანის ეფექტის შექმნა. ფუძე მაქსიმალურად ათანაბრებს თუნდაც მცირედ უსწორმასწორო ზედაპირს, ამიტომ ამ ეტაპის გამოტოვებაც არ ღირს. ფუძე გამჭვირვალეც შეიძლება იყოს და ფერადიც. ხშირად მას ტონალურის ფუნქციასაც უთავსებენ. სპეციალისტების რჩევით, არ ღირს მიკროსკოპული მზინავი ელემენტების შემცველი პრაიმერის წასმა მთელს სახეზე, რადგან ამ მზინავი ელემენტების უმრავლესობა რომელიმე მეტალის ფქვილია. მნიშვნელობა აქვს, ამ შემთხვევაში, ფასსაც – ძვირადღირებულ მბზინავ პრაიმერებს ოქროს ან ვერცხლის უწვრილესი ნაწილაკები აქვს შერეული, შედარებით იაფფასიანს კი სხვა მეტალებისა, რომლებიც, გასაგებია, რომ სახის კანისთვის მიზანშეწონილი ვერ იქნება!

ყურადღებით შეარჩიეთ შეფერილი ფუძეებიც. მიუხედავად სარეკლამაო ფანდებისა, რომლებიც იუწყებიან, რომ შეფერილი პრაიმერები სრულიად უსაფრთხოა და თავისი პირდაპირი დანიშნულების გარდა გაახალგაზრდავებას და გაჯანსაღებას უწყობს ხელს, უმრავლესობა მათგანში ქიმიური პიგმენტური დანამატებია. ამისგან თავის დასაცავად ყურადღებით გაეცანით შემადგენლობას. თუ ჩამონათვალში E 100, E 102, E 101 ან E 199 შეგხვდებათ, ესე იგი ნაწარმში ქიმიური საღებავებია დამატებული.

სახის კანის ფუძესთან დაკავშრებით მნიშვნელოვანია კიდევ ერთი ინფორმაცია – კარგი პრაიმერი შესაძლოა შეიცავდეს SPF-ფაქტორს. ეს ნიშნავს, რომ მას მატონიზირებელი და მზისგან დამცავი მოქმედება აქვს და ზაფხულის ცხელ დღეებში მაქსიმალურად იცავს კანს მზის მავნე ზემოქმედებისგან. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ თუ ბაზა უკვე შეიცავს SPF-ფაქტორს, უმჯობესია დღის საცხი ან ტონალური ამავე ფუნქციით აღარ იყოს დატვირთული.

ხავერდივით კანი

ამ ეფექტის მისაღებად ტონალურ კრემს იყენებენ. ტონალური კრემი ყველა იმ მცირე დეფექტს ფარავს და ასწორებს, რაც ბაზის დადების შემდეგ მაინც იჩენს თავს. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ტონალური კრემის წასმა უნდა დავიწყოთ მინიმალური რაოდენობით. თუ საჭირო გახდა, ფენის სისქე შეიძლება გავზარდოთ. ეს გაცილებით ადვილია, ვიდრე ჭარბი კრემის მოშორება პოსტ-ფაქტუმ... კიდევ ერთი პატარა ეშმაკობა – ტონი თანაბრად რომ დაჯდეს, შეიძლება შევურიოთ ცოტაოდენი დამატენიანებელი კრემი. ტონალურ კრემზე ხშირად გაიგონებთ, რომ დეკორატიული კოსმეტიკის წარმომადგენელებიდან ის ყველაზე მავნეა. საქმე ისაა, რომ ტონალური კრემი ავსებს ფორებს და კანს, ფაქტობრივად, სუნთქვის საშუალებას არ აძლევს. თუმცა მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, თუ როგორ უნდა დავიტანოთ სახეზე ტონალური სწორად – დაიმახსოვრეთ: დამცავი საცხის და პრაიმერის გარეშე პირდაპირ ტონალურის წასმა მართლაც არ არის მიზანშეწონილი სახის ნაზი კანისთვის, რადგან მისი პიგმენტირებული მასა ფორებში ადვილად შეაღწევს, დაახშობს მათ, ეს კი პროვოცირებას გაუწევს ანთებით გამონაყარს... ტონალურის შერჩევისას აუცილებლად უნდა გაითვალისწინოთ კანის ტიპი. არსებობს მშრალი, ცხიმიანი და კომბინირებული კანისთვის განკუთვნილი კრემები.

ფინალური სასტვენი – პუდრი

მას შემდეგ, რაც კანის ფერი გათანაბრდება და ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პროცედურა გავლილია, ვისვამთ პუდრს, რომელიც სახეს ბუნებრივ იერს აძლევს, ხოლო კანს ხავერდოვნებას ანიჭებს. გარდა ამისა, პუდრი უკეთ აკავებს მაკიაჟს და ის უფრო ხანგრძლივი დროით „გვემსახურება". მაკიაჟმა მთელი დღე რომ გაძლოს, უმჯობესია, გამოვიყენოთ კომპაქტური პუდრი.

პუდრი კარგად „ნთქავს" ცხიმს, ამიტომ მისი დადება განსაკუთრებით რეკომენდებულია მათთვის, ვისაც ცხიმიანი კანი აქვს. აუცილებლად გაითვალისწინეთ, რომ მუქი ფერის პუდრი ნაოჭებს წარმოაჩენს!

პუდრი შეიძლება წავისვათ ტონალურ კრემზეც და მის გარეშეც, პირდაპირ დამატენიანებელი კრემის წასმის შემდეგ. პუდრი ტონალურ კრემზე სამი ტონით ბაცი უნდა იყოს.

30 წელს გადაცილებული ქალებისთვის არ არის რეკომენდებული თვალებთან პუდრის წასმა – შესაძლოა, წვრილი ნაოჭები უფრო მკაფიოდ გამოჩნდეს.

უმჯობესია, პუდრი სპეციალური ფუნჯით დაიტანოთ სახის ზედა ნაწილიდან ნიკაპისკენ მიმართულებით. ასე ის კარგად გადანაწილდება სახის კანზე.

Photos: Diliana Florentin, ELLE magazine Bulgaria

და ბოლოს

მაკიაჟი ყოველდღიური გამოყენებისგან შესაძლო რისკის და ზიანის შესამცირებლად აუცილებლად გაითვალისწინეთ რამდენიმე რჩევა: **ა** პირველ რიგში, შეძენამდე კარგად დააკვირდით პროდუქციის ვარგისიანობის ვადას. გახსოვდეთ, თხევადი ტონალური კრემის და პომადის შენახვის ვადა საშუალოდ ერთი წლით განისაზღვრება, თვალის ტუშის - სამი თვიდან ერთ წლამდე; **ბ** როგორც კი თხევადი კონსისტენციის მასა გამყარებას ან კონსისტენციის შეცვლას დაიწყებს, უმჯობესია, დაემშვიდობოთ და არ გამოიყენოთ; **გ** თვალის ჩრდილების შენახვა 2-3 წლის განმავლობაში თავისუფლად შეგიძლიათ, ოღონდ ფუნჯი ხშირად უნდა გაწმინდოთ ან შეცვალოთ; **დ** ყურადღებით გაეცანით კოსმეტიკური ნაწარმის შემადგენლობას! თუ ნაწარმი ჭარბი რაოდენობით შეიცავს E ნიშნით აღნიშნულ ინგრედიენტებს, უმჯობესია, უარი თქვათ მის შეძენაზე; **ე** გახსოვდეთ, არის ისეთი საღებავები, კონსერვანტები და ემულგატორები, რომლებიც ევროპის ქვეყნებში აკრძალულია და კარგი რეპუტაციის მქონე მწარმოებლები მათ არ იყენებენ. თუმცა ბულგარეთის, უკრაინის, რუსეთის, ისრაელისა და სხვა ქვეყნების კოსმეტიკის მწარმოებელი ფირმები ასეთ მასალას ინტენსიურად იყენებენ და მათი ქვეყნების კანონმდებლობა, ამ შემთხვევაში, მომხარებლის უფლებაზე მეტად კომერციული ინტერესებით ხელმძღვანელობს. ამდენად, განსაკუთრებით ყურადღებით გაეცანით ამ ქვეყნებში ნაწარმოები კოსმეტიკის „შინაგან სამყაროს“.

ეთერ ლეკ

გადასაღებ მოედანზე

ერთ-ერთი წარმატებული პროექტი „ფორმულა კრეატივისგან", „ჩემი ცოლის დაქალების" მეხუთე სეზონი დასრულდა. სექტემბრიდან მაყურებელს ისევ ელოდება ახალი სერიები და ემოციები. თუ როდის დამთავრდება სერიალი, ჯერჯერობით არავინ იცის, მაგრამ სავსებით შესაძლებელია, გადაღებები მომდევნო წელს მთლიანად დასრულდეს. რა თქმა უნდა, „ფორმულა კრეატივი" მაყურებელს ახალ პროექტებს ისევ შესთავაზებს.

ამ ხნის განმავლობაში სერიალში ძველი პერსონაჟები ახლებმა ჩაანაცვლეს. რაც ყველაზე მთავარია, მაყურებელი ყველა მათგანს იოლად ეგუება და უყვარდება ისინი. სერიალის გმირებიც შეიცვალნენ. „ჩემი ცოლის დაქალები" ამ დრომდე არ კარგავს პოპულარულობას და მაყურებელი ახალ სერიას ყოველთვის მოუთმენლად ელის.

INTERVIEW სერიალის გმირებს გადასაღებ მოედანზე ესტუმრა. მართალია, გადაღებები პავილიონში ისევ მიმდინარეობს, მაგრამ მსახიობების ერთ ნაწილს ძალიან გაუმართლა, რომ ზაფხულის აუტანელ სიცხეებს გაერიდნენ და თავი შეაფარეს წავკისს, სადაც გადაღებები მიმდინარეობდა. მუშაობასთან ერთად მსახიობები და მთელი შემოქმედებითი ჯგუფი არაჩვეულებრივად ისვენებდნენ.



ეკა დემეტრაძე – „ნატაშკა"

INTERVIEW. **როგორია სეზონის ბოლო სერიების გადაღების პროცესი?**
EKA DEMETRADZE. მიუხედავად იმისა, რომ გადაღებები პავილიონიდან აქ გადმოვიდა, რეჟიმი მაინც დატვირთულია. თუმცა სუფთა ჰაერი და სიგრილე განტვირთვის საშუალებასაც გვაძლევს.

I. **როგორია ნატაშკა თქვენთვის?**
E. D. ჩემი გმირი, ნატაშკა და მისი ცხოვრება ჩემთვის ძალიან საინტერესოა. მაინტერესებს როგორ განვითარდება მოვლენები, იმიტომ, რომ ამჟამად წარმოუდგენელ მდგომარეობაში უწევს ცხოვრება. ჩემ გარშემო კონკრეტული ადამიანი არ არსებობს, ვისგანაც შეიძლება, რამე ვისწავლო ჩემი როლისთვის. სცენარის კითხვის დროს ვბრაზდები, მეც მსგავსი ემოციები მიჩნდება და ის, რასაც ნატაშკა გრძნობს, თავისთავად მოდის. ვცდილობ, რომ მაქსიმალურად წარმოვიდგინო ჩემი თავი მსგავს სიტუაციაში.

I. **არის მსახიობი, რომელიც თავის პერსონაჟს გავს?**
E. D. რეალურად ყველა განვსხვავდებით პერსონაჟებისგან, საერთო მხოლოდ ვიზუალი, რეაქციები და ემოციები გვაქვს.

I. **როგორია თქვენი ერთი ჩვეულებრივი დღე?**
E. D. გააჩნია, რომელ საათზე მთავრდება გადაღება. ნატაშკას თავგადასავალმა ჩემზე იმდენად იმოქმედა, რომ ამ ბოლო პერიოდში მიჩნდება სურვილი, სადღაც წავიდე, დავიხარჯო, სხვა ხალხი ვნახო. ძირითადად კი თავისუფალ დროს ოჯახთან ერთად ვატარებ. >

ტასო

ხანდახან, როცა ტექსტი მეშლება, შენიშვნებს მაძლევენ ხოლმე. მე ყველაფერს ვითვალისწინებ, რომ კარგად გავაკეთო. პოპულარულობა არ მინდა. არც მსახიობობა მინდა, უფრო მომღერალი ან ვიზაჟისტი მინდა გავხდე. მე სკოლაში ქუსლიანი ფეხსაცმელები არ დამაქვს. კარგად ვსწავლობ. ახლა ცურვაზეც ვივლი, სიმღერაზეც ვაპირებ. სერიალის დასრულების შემდეგ თუ ახალი პროექტი დაიწყება, სიამოვნებით მივიღებ შემოთავაზებებს.

ანი ტყებუჩავა – „ნინა"

INTERVIEW. ანი, როგორია ერთი ჩვეულებრივი დღე თქვენთვის?
ANI TKEBUCHAVA. გადაღება თუ არ მაქვს, დილა იწყება იმით, რომ ნენეს ვაჭმევ, მერე მე ვფხიზლდები. ვრეკავ მეგობრებთან, რომ გავიგო, ვინ გამოვა ჩემთან ან მე ვისთან გავალ. ვცდილობ, ვუყურო ფილმებს, წავიკითხო და დავისვენო.

I. სერიალის დასრულების შემდეგ რას გააკეთებთ?
A. T. ამ ბოლო დროს გამიჩნდა სურვილი, რომ რაიმე წავიყვანო ტელევიზიაში ან რადიოში, მაგრამ მანამდე დრო უნდა გავიდეს, რომ მაყურებელს დაავიწყდეს ნინა და ახალ ამპლუაში ადვილად მიმიღოს. თეატრშიც გვაქვს ახალი პროექტები.

I. როგორ გახდით ნინა?
A. T. „ჭამა და სექსის" შემდეგ თავიდანვე გადაწყდა, რომ მე და ლევან ყოჩიაშვილი (დათო) ცოლ-ქმარი ვიქნებოდით. ეს წყვილი უკვე შემდგარი იყო, თუმცა კასტინგზე სიარული მეც მომიწია. როცა უკვე იცნობ გუნდს, გგონია, რომ ყველაფერი ადვილია, მაგრამ ასე ნამდვილად არ იყო. მე ვეცადე, ჩემი მაქსიმუმი გამეკეთებინა.

I. ახალი გმირების მიმართ როგორია მსახიობების დამოკიდებულება?
A. T. ვგიჟდები, ძალიან მიყვარს. მე და ყოჩი (ლევან ყოჩიაშვილი) უკვე დიდი ხანია, პარტნიორები ვართ და მასთან მუშაობაც საკმაოდ კომფორტულია, მაგრამ თაზოს (გიორგი კალანდარიშვილი) გამოჩენით ახალი სისხლი გადაესხა ჩემს გმირს. საერთოდ, ამ ბოლო დროს, მინდა ცუდი ადამიანის როლი მოვირგო, იმიტომ, რომ უკვე ძალიან დიდი ხანია, ნინა კარგი მეუღლეა.

I. თქვენი აზრით, ვინ ენატრება ყველაზე მეტად მაყურებელს?
A. T. მე ძალიან ხშირად მეკითხებიან ბაბულიკებზე, დაბრუნდებიან თუ არაო. ვფიქრობ მაყურებელს ისინი ენატრება.

ეკა ამირეჯიბი – „ლიკუნა"

INTERVIEW. ვისთან მუშაობაა თქვენთვის ყველაზე კომფორტული?
EKA AMIREJIBI. შენთვის ის ხდება კომფორტული, ვისთანაც ხშირად გიწევს მუშაობა. იმდენი პერსონაჟია სერიალში, რომ ზოგს შესაძლოა იშვიათად შეხვდე გადასაღებ მოედანზე. რადგან მე და ვანო თარხნიშვილს გვიწევს ერთად მუშაობა, ჩემთვის ის არის ძალიან კომფორტული.

I. რა არ მოგწონთ თქვენ პერსონაჟში?
E. A. ძალიან აუტანელი გოგოა. მოუზომელი და არ აკონტროლებს, რას ამბობს. არ იცის, რა უნდა, თან უნდა ოჯახი, თან არც უნდა. მაგრამ რეალურად ეს მართლა ხდება, როცა ოჯახი იქმნება და შემდეგ ხვდებიან ადამიანები, რომ როგორც მათ წარმოედგინათ, ისე არ არის. ზოგადად ლიკუნა ძალიან შეიცვალა. თავიდან სიცოცხლით სავსე და მხიარული იყო. სამაგიეროდ ხურცილავა (ვანო თარხნიშვილი) აღმოჩნდა კარგი ქმარი. სტერეოტიპი, რომ სამაგალითო ქმარი დათოსნაირი ტიპაჟი იყო, დაიმსხვრა და ირაკლი, რომელიც მუსიკოსია და ბარში უკრავს, შესაძლოა იყოს ნამდვილად კარგი მეუღლე.

I. რეალური სიყვარულის ისტორია თუ ყოფილა ამ დროის განმავლობაში გადასაღებ მოედანზე?
E. A. მგონი არა ან ძალიან კარგად დამალეს. >

სალომე შარვაძე – „ქეთი"

INTERVIEW. როგორია თქვენი პერსონაჟი, ქეთი?
SALOME SHARVADZE. აღშფოთებული ვარ, ეს რა ჩაიდინა, ჩემი შვილიც კი თითებს იკვნეტდა, როცა ვუყურებდით. ზოგადად, ქეთი ძალიან ცვალებადია. არ აქვს საკუთარი საქმე, ამიტომაც იქექება მუდმივად სხვის ცხოვრებაში, საკმაოდ დაუფიქრებელია.

I. როგორ მოხვდით სერიალში?
S. SH. „ფორმულა კრეატივთან" 10 წელია, ვმეგობრობ. თავიდან კატოს როლს მთავაზობდნენ, მაგრამ საბოლოოდ ქეთი გავხდი. ჯერ სერიალში მხოლოდ მე ვიყავი და მერე გაჩნდა ჩემი მეუღლე ზაზა (გიორგი ბოჭორიშვილი). მიუხედავად იმისა, რომ ამ პერსონაჟმა გაღიზიანება უნდა გამოიწვიოს მაყურებელში, მაინც მოწონებას იმსახურებს. ზოგადად, კი მომაბეზრებელი და რთულია ასეთი ქმარი. მე ვფიქრობ, რომ ჩემს გმირსა და ზაზას დიდი სიყვარულიც კი არ აკავშირებთ.

I. თუ გაქვთ პროგნოზი, როდის შეიძლება დასრულდეს სერიალი?
S. SH. ზუსტად არ ვიცი. ეს ბევრ რამეზეა დამოკიდებული, თუმცა სერიალის დასრულების შემდეგ პირადად მე ბევრი რამ დამაკლდება... მაგრამ იქნება სხვა პროექტებიც, რომელშიც მონაწილეობას სიამოვნებით მივიღებ.

მაკა ძაგანია – „თინა"

INTERVIEW. **თუ გაქვთ რამე საერთო თქვენს პერსონაჟთან?**
MAKA DZAGANIA. მე და ჩემს პერსონაჟს არაფერი გვაქვს საერთო, რაღაცებში ვეთანხმები, როგორც ქალი, მაგრამ არ ვგავართ. ამ ბოლო პერიოდში რაც დაემართა, მე უკვე ვეღარ ვაკონტროლებ და ვთვლი, რომ ადამიანები ასე არ იქცევიან. თუ თვლის, რომ განათებული და უკვე შემდგარია, ასე არ უნდა მოიქცეს.

I. **ვინ არის ყველაზე შრომისმოყვარე გადაღებების დროს?**
M. DZ. ყველაზე შრომისმოყვარე არის ყოჩი (ლევან ყოჩიაშვილი). მე არ მინახავს, რომ ეთქვას რამეზე ხვალ გადავიღოთო. არასოდეს აგვიანებს და როგორც თვითონ ამბობს, სულ გაპრიალებული მოდის ხოლმე.

I. **სერიალის დასრულების შემდეგ როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი?**
M. DZ. არ ვიცი და ვერც ვფიქრობ ამაზე. მე უკვე ამით ვცხოვობ და მიჭირს, ვიფიქრო. ბევრი რამე შეიცვლება, ეს ჩემთვის ყოველდღიურობაა და ეს ყველაფერი რომ აღარ იქნება, ბევრი თავისუფალი დრო დამრჩება.

ეკატერინე ცეცხლაძე

ფოტო: ლევან-ლუკა ჭყონია

ნიკო

ძალიან მხიარული გადაღებებია, არ ვიღლები, პირიქით, ვერთობით და ვისვენებთ. მე ჩემს გმირს არ ვგავარ, მე ვსწავლობ ის არა. უფრო ნაზია ჩემგან განსხვავებით. მე ხვებზე ცოცვა მიყვარს. მიხარია, რომ ახალი პერსონაჟებიც გვემატებიან, ძალიან კარგი დამოკიდებულება მაქვს თინა მახარაძესთან, კარგად ასრულებს როლს, თან ახალი გმირია. არც მე მინდა მსახიობობა. არქიტექტორი ან დიზაინერი მინდა ვიყო.

SU

ხაცურაო კოსტიუმი
LAKO BUKIA

photo
ZURA KARTVELISHVILI
styling
ANANO DOLABERIDZE
starring
NINI BADURASHVILI
mua
TEKO SHENKEN
hair
ELEVEN studio
wearing
DIANA KVARIANI, MARIAM GEASALIA, ATELIER KIKALA, LAKO BUKIA, LELA ELOSHVILI
accessories
RETROSUPERFUTURE SUNGLASSES

ROYAL BATONI

MMER GLOW

ნინი ბალუტაშვილი

მოდა, კარიერა და ოჯახი

ეზომოდ მიყვარს

ჩემი პროფესია და არასდროს

ნინი ბადურაშვილს საზოგადოება დიდი ხანია, იცნობს როგორც მომღერალსა და მსახიობს. მან თავისი პირველი ნაბიჯები სცენისა და კამერისაკენ ჯერ კიდევ ადრეულ ბავშვობაში გადადგა, როდესაც 6 წლის ასაკში მშობლებმა ბასტი-ბუბუს სტუდიაში მიიყვანეს. ამჟამად ნინი მუშაობს ახალი სიმღერის კლიპზე, ოცნებობს, რომ ითამაშოს ძალიან საინტერესო ქართული ფილმის მთავარ როლში და ცდილობს, რაც შეიძლება მეტი დრო დაუთმოს თავის პატარა ელენეს. არაერთი სკანდალის გამო საზოგადოების ინტერესი მისდამი ყოველთვის დიდი იყო და ასეა ახლაც. ამიტომაც გადავწყვიტეთ, ჩაგვეწერა მასთან ინტერვიუ, რაც ერთგვარად გართულდა კიდეც მისი დატვირთული გრაფიკის გამო. ნინი საკმაოდ საინტერესო რესპონდენტი აღმოჩნდა, გულახდილი და ზუსტი პასუხებით.

არავის გამო არ დავთმობ ამას,

ეს ზუსტად ვიცი

სათვალე
RETROSUPERFUTURE

საცურაო კოსტიუმი
LAKO BUKIA

ქვედაბოლო
ATELIER KIKALA

ფეხსაცმელი
MARIAM GVASALIA

მაისური,შორტი
DIANA KVARIANI

ჩანთა,ფეხსაცმელი
MARIAM GVASALIA

INTERVIEW. **როგორია თქვენი ერთი დღე?**

NINI BADURASHVILI. გააჩნია დროს. სამუშაო რეჟიმში, როგორც წესი, საგიჟეთი მაქვს დილიდან საღამომდე. თუ ვისვენებ მთელ დღეს ვატარებ მცხეთაში, ბავშვთან და ოჯახთან ერთად. დატვირთული გრაფიკის გამო სულ მაქვს იმის განცდა, რომ საყვარელ ადამიანებს ყურადღებას ვაკლებ და როგორც კი საშუალება მაქვს, ვცდილობ, მათთან ვიყო.

I. **რას თვლით თქვენს საქმიანობაში ყველაზე დიდ სირთულედ?**

N. B. თუ გინდა პროფესიონალი იყო შენს საქმეში, რთული გზები უნდა გაიარო. ჩემი პროფესია რთულია, ქაოსური და მოულოდნელობებით სავსე. რთულია, რამე დაგეგმო. შეიძლება მთელი დღე მოგიწიოს გრიმით გადასაღებ მოედანზე ყოფნა და გადაიღო მხოლოდ ერთი კადრი და შეიძლება ისიც არ ვარგოდეს.

არსებობს სხვა სირთულეებიც, მაგალითად ჭორები და ხშირად უარყოფთი დამოკიდებულებაც. ამ ყველაფრისგან თავდასაცავად უკვე იმუნიტეტი მაქვს გამომუშავებული, მაგრამ ხანდახან მაინც ახერხებენ ისეთი ამბის მოგონებას, რომ შეუძლებელია, რეაქცია არ გქონდეს. რთულია, გაუძლო შენ მიმართ დიდ და ხშირად უარყოფით ინტერესს და ყურადღების ცენტრში ყოფნას.

I. **ვისი აზრია თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი?**

N. B. პროფესიული თვალსაზრისით დედაჩემის, იმიტომ, რომ ეკა ყოველთვის ხვდება, რა გავაკეთე სწორად და რა არასწორად. ძალიან ზუსტი თვალი აქვს და მისი ძალიან მჯერა. მაგრამ დედაჩემამდე, ალბათ, ყველაზე მთავარი მაინც საკუთარი თავია.

I. **როგორ დაახასიათებდით თავს, ვინ არის ნინი ბადურაშვილი?**

N. B. ძალიან რთულია საკუთარ თავზე ლაპარაკი. ნინი ბადურაშვილს ცოტა უცნაური ხასიათი აქვს და შრომისმოყვარეა. სამწუხაროდ, არ ვარ ძალიან თბილი და ეს ცუდია. მიყვარს ცოტა ადამიანი, სამაგიეროდ - მთელი გულით და ნამდვილად. უზომოდ მიყვარს ჩემი პროფესია და არასდროს არავის გამო არ დავთმობ ამას, ეს ზუსტად ვიცი. მიხარია, რომ არ მაქვს ზედმეტი ამბიციები, მეტიც, ბავშვობაში, კომპლექსების გამო, სულ მეუბნებოდნენ, რომ დაბალი თვითშეფასება მქონდა. >

ვთვლი, რომ ვარ ბედნიერი ადამიანი

ილაშო არასოდეს მოლია

I. არსებობს ადამიანი, ვისგანაც იღებთ მაგალითს?
N. B. არა... იდეალი არასოდეს მყოლია, იმიტომ, რომ იდეალური არავინაა და შეცდომა ყველას მოსდის. პატარა მაგალითები შეიძლება ავიღო ნებისმიერი ადამიანისაგან.

I. თქვენი აზრით, გემოვნება თანდაყოლილია?
N. B. ჩემი აზრით კი, თანდაყოლილია და შეიძლება მისი განვითარებაც, მაგრამ, ალბათ, ძალიან უგემოვნოს მაინც არაფერი ეშველება. თუ პატარა მარცვალი მაინც არსებობს, ის შეიძლება გაღვივდეს და განვითარდეს, თუნდაც სხვისგან მაგალითის აღებით, მაგრამ არა მიბაძვით.

I. რას დაარქმევდით თქვენ სტილს და შეიცვალა თუ არა მასში რაიმე რაც დედა გახდით?
N. B. მე ვფიქრობ, რომ ჩემი სტილი არის თავისუფალი, კლასიკური შტრიხებით. საერთოდ, მეუბნებიან, რომ ძალიან შევიცვალე ვიზუალურად. სტილი კი, ალბათ, არ შემცვლია. უფრო მეტად შემეცვალა ხასიათი. იმდენად ვარ გაგიჟებული ჩემს ბავშვზე, რომ მექანკურად ბევრ რამეზე ვამბობ უარს. მაგალითად, ადრე დიდ დროს ვატარებდი მეგობრებთან, ახლა უკვე აღარ. ვცდილობ, მაქსიმალურად დიდი დრო გავატარო შვილთან ერთად.

I. რა დაგეხმარათ ფორმის დაბრუნებაში მშობიარობის შემდეგ?
N. B. ბევრიც არ მიშრომია ფორმაში ჩასადგომად. თავისთავად მოხდა... თითქოს. ჩვეულებრივად ვიკვებებოდი, მსუბუქად ვვარჯიშობდი და ალბათ, გენეტიკამაც ითამაშა თავისი როლი.

I. ხშირად გიყვარდებათ?
N. B. არა, ძალიან იშვიათად. მყვარებია სულ ორჯერ და ორივეჯერ გრძნობა ძალიან ძლიერი იყო. რთულად მომწონს, არათუ მიყვარდება და ასე ვარ ბავშვობიდან მოყოლებული. ალბათ ბევრ რამეს ვაქცევ ყურადღებას.

I. რა არის, თქვენი აზრით, ქალური სექსუალურობის საიდუმლო?
N. B. საიდუმლო ის არის, რომ ქალი უნდა იყოს ჭკვიანი. მნიშვნელოვანია იუმორი, სითბო, და რაც მთავარია, ქალმა მეტი პოზიტივი უნდა გასცეს.

I. ხმარობთ თუ არა შლაპებს, ქუდებს და, ზოგადად, რა დამოკიდებულება გაქვთ თავსაბურავებთან?
N. B. ძალიან ბევრი ქუდი მქონდა ადრე, შარფებიც და ძალიან მიყვარდა. ახლაც მიყვარს, მაგრამ რატომღაც აღარ ვხმარობ იმდენად. ადრე თვითონაც კი ვქსოვდი.

I. რა შეიძლება იყოს შავი, კლასიკური კაბის ალტერნატივა?
N. B. ალტერნატივა შეიძლება იყოს კლასიკური შარვალი და პიჯაკი ან ჟილეტი.

I. ნივთი თქვენი გარდერობიდან, რომესაც ვერასოდეს შეელევით?
N. B. საათი... ეს აქსესუარი სულ მიკეთია და ვერასოდეს შეველევი. ვერ ვიტყვი, რომ ბევრი მაქვს, მაგრამ ყოველთვის ვატარებ და ძალიან მნიშვნელოვანი ატრიბუტია ჩემს ჩაცმულობაში.

I. როგორ ფიქრობთ, რა იწვევს თქვენდამი ასეთ დიდ ინტერესს თქვენ მიმართ ჟურნალისტებისა და საზოგადოების მხრიდან?
N. B. მე ვფიქრობ, რომ ეს არის ჩემი კარმა. მე დავიბადე ასეთი. ბავშვობიდანვე, კარგად თუ ცუდად, სულ ყურადღების ცენტრში ვიყავი. კარმის გარდა შეიძლება ინტერესს >

იწვევდეს ჩემი ოჯახის ფაქტორი, მომღერლობა, რაშიც ალბათ გამოვდექი. ვიღაცას გარეგნობით მოვწონვარ. სხვათაშორის, საერთოდ არ ვარ სკანდალური და სულ რაღაცა სკანდალებში მხვევენ ხოლმე. ჟურნალისტებმა იციან, რომ როცა ჩემზე რაღაც იწერება კარგად იყიდება და ამიტომაც არის მათგან ასეთი დიდი ინტერესი.

I. ყოფილა თქვენს ცხოვრებაში ღალატი? (პირადი ცხოვრება არ იგულისხმება)

N. B. კი ყოფილა, რაც ადრე საკმაოდ რთულად გადამქონდა. ახლა უკვე საკმარისად მაქვს იმუნიტეტი გამომუშავებული. უკვე ისიც ვიცი, ვისთან ვიკონტაქტო და ვისთან არა. მადლობა ღმერთს, ახლა ისეთი მეგობრები მყავს, რომლებიც ნამდვილად ვიცი, რომ არ მიღალატებენ და ვინც მიღალატა ის ჩემი მეგობარი აღარაა.

I. შეგიძლიათ თქვათ, რომ ბედნიერი ადამიანი ხართ და რა გაბედნიერებთ?

N. B. ნამდვილად ვთვლი, რომ ვარ ბედნიერი ადამიანი, მიუხედავად იმისა, ვინ რას ამბობს ჩემს პირად ცხოვრებაზე. შეცდომა ყველას მოსდის და არც მინდა, ვიცხოვრო მოსაწყენი უპრობლემო და უშეცდომო ცხოვრებით. მე მომწონს პრობლემებთან შეჯახება და მათი დამარცხება.

განსაკუთრებით მაბედნიერებს ყოველ დილას ჩემი შვილის დანახვა, მაბედნიერებს კარიერული წარმატებები, მეგობრებთან ერთად დროის გატარება. მიხარია, რომ მაბედნიერებს ჩემი მეგობრების წარმატებები. მაგრამ ყველაზე მთავარი ბედნიერება, რაც ახლა მაქვს, ჩემი შვილი ელენეა.

I. რომ გქონდეთ შესაძლებლობა, შეცვლიდით რამეს თქვენი წარსულიდან?

N. B. მიუხედავად იმისა, რომ ბევრი შეცდომა მაქვს დაშვებული, არაფერს ვნანობ, ვინაიდან შეცდომის დაშვების გარეშე ვერ ვისწავლიდი ვერაფერს. აქედან გამომდინარე, რადიკალურად არაფერს შევცვლიდი, გარდა იმისა, რომ ადრეულ ასაკში არ წავედი სასწავლებლად ჩემი პროფესიის, ვოკალის განხრით.

თორნიკე ჩარგეიშვილი

სათვალე RETROSUPERFUTURE

ტოპი DIANA KVARIANI

ქვედაბოლო MARIAM GVASALIA

ფეხსაცმელი LELA ELOSHVILI

ხათვალე
RETROSUPERFUTURE

პალტო
DIANA KVARIANI

ტოპი, ქვედაბოლო
ATELIER KIKALA

ქალი უნდა იყოს ჭკვიანი



თბილისი წვიმიან

DAVID LOMIDZE

www.thejetbird.com

I. რამდენი წლის ხარ?
BEARD. ორის, ჰო? კი, ორის ვარ.

I. რას საქმიანობს შენი მფლობელი?
B. ჩემი მფლობელი მუსიკოსია და ცნობადი სახე.

I. განტვირთვის საუკეთესო საშუალება?
B. ნიავზე ყოფნა.

I. ზაფხული გიყვარს?
B. კი, როგორ არ მიყვარს. მე ვიცავ ჩემ მფლობელს ზაფხულში სიცხისგან, ზამთარში სიცივისგან.

I. შენი აზრით, დადგება დღე, როდესაც მობეზრდები შენ მფლობელს?
B. არა, ჩვენ საკმაოდ კარგი ურთიერთობა გვაქვს, რაც მომიშვა, თუ მიმიშვა, ამ ადამიანის ცხოვრება საკმაოდ შეიცვალა. იმედი მაქვს დააფასებს ამას და როგორც შარშანწინ ზაფხულში, არ მომპარსავს.

I. როგორი დამოკიდებულება აქვთ ქალებს შენ მიმართ? მოსწონხარ მათ?
B. ხშირად ხელს მკიდებენ. არ ვიცი, ჩემი მფლობელი მოსწონთ თუ მე, მაგრამ ინტერესს აშკარად იჩენენ. მოდიან მეფერებიან და მეუბნებიან რა რბილი ხარო.

I. დაახასიათე შენი მფლობელი?
B. ენერგიული ადამიანია, უყვარს მუსიკა და რაც მთავარია, მე მოვწონვარ ძალიან!

I. რას ურჩევდი მას?
B. ხანდახან ძალიან არ გამკრიჭოს ხოლმე.

ნიკა გომართელი

რუსკა მაყაშვილი

მსახიობი

I. რომელ საათზე გაიღვიძე დღეს?
RUSKA MAKASHVILI. თორმეტ საათზე.

I. რა მიირთვი საუზმეზე?
R. M. არაფერი.

I. რისი ნიჭი გინდა, რომ გქონდეს?
R. M. ჩემი ოცნებაა, ვუკრავდე ფორტეპიანოზე, ასევე მინდა ძალიან მაგარი ჯაზ ვუმენი ვიყო.

I. სიტყვა, რომელსაც ყველაზე ხშირად ხმარობ...
R. M. „კაი რაა".

I. რისი გეშინია?
R. M. სიკვდილის.

I. რა შთაგაგონებს?
R. M. ყველაფერი, რაც კარგი და დადებითია, მაგალითად, ამინდი, ფერი; ჩემთვის ყველაზე ბედნიერი ფერი ყვითელია, რადგან მზის ფერია.

I. ადამიანი, რომელმაც შეცვალა შენი ცხოვრება...
R. M. ჩემი ძმა.

I. რას უსმენ მანქანაში?
R. M. ჯექსონს, ყველგან ჯექსონს, ჩემი საყვარელი მომღერალია.

I. სამი ნივთი, რომლის გარეშეც ვერ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება...
R. M. ტელეფონი, საათი და წიგნი.

I. სამი თვისება, რომელსაც აფასებ ადამიანში?
R. M. სამართლიანობას, სიკეთეს და... უნდა იყოს მოსიყვარულე.

I. როდის იტირე ბოლოს?
R. M. ამ ბოლო დროს ყველაფერზე ვტირი. რამდენიმე დღის წინ ვიტირე ერთ-ერთ ფილმზე.

I. სად ხედავ შენ თავს 10 წლის შემდეგ...
R. M. ჩემს ოცნებებში სხვაგან, მაგრამ რეალობაში ვხედავ აქ, საქართველოში, დაქორწინებულს და დედის როლში.

I. სად შეიძლება შენი ნახვა პარასკევს საღამოს?
R. M. აი, თუნდაც აქ, ჩემი მეგობრის სახლში (თითით მაჩვენებს შენობას). თუ გადაღება არ მაქვს ხოლმე, ხშირ შემთხვევაში, ჩემ მეგობრებთან ერთად ვატარებ დროს, შესაძლოა სადმე კლუბშიც შევიაროთ. i

მირიან ჯეჯელავა

მსახიობი

I. რომელ საათზე გაიღვიძე დღეს?
MIRIAN JEJELAVA. დღის ოთხ საათზე..

I. რა მიირთვი საუზმეზე?
M. J. საუზმის დრო ნამდვილად აღარ იყო და პირდაპირ სადილზე გადავედი.

I. რისი ნიჭი გინდა, რომ გქონდეს?
M. J. კარგად ცურვის ნიჭი.

I. სიტყვა, რომელსაც ყველაზე ხშირად ხმარობ...
M. J. არ მაქვს.

I. რისი გეშინია?
M. J. სიბნელის და დახურული სივრცის.

I. რა შთაგაგონებს?
M. J. მუსიკა.

I. ადამიანი, რომელმაც შეცვალა შენი ცხოვრება...
M. J. ჯერ არ გამოჩენილა ასეთი ადამიანი, თუ, რა თქმა უნდა, მშობლებს არ ჩავთვლი.

I. რას უსმენ მანქანაში?
M. J. ყველაფერს, განწყობის მიხედვით.

I. სამი ნივთი, რომლის გარეშეც ვერ წარმოგიდგენია შენი ცხოვრება...
M. J. ტელეფონი, აიპოდი და ზურგჩანთა, რომელშიც სამი და მეტი საჭირო ნივთი მიდევს.

I. სამი თვისება, რომელსაც აფასებ ადამიანში...
M. J. გულწრფელობა, იუმორის გრძნობა და აუცილებლად უნდა შეეძლოს სიყვარულის გამოხატვა.

I. როდის იტირე ბოლოს?
M. J. საერთოდ ემოციური ადამიანი ვარ და არასდოს მერიდება გრძნობების და ემოციის გამოხატვა. შეიძლება ქუჩაში მოხუცი მათხოვრის დანახვაზეც წამომივიდეს ცრემლი და კიდევ ბევრ სხვა რამეზე. ბოლოს ინტერნეტში ნანახ ერთ-ერთ სოციალურ თემაზე გადაღებულ ვიდეოზე ვიტირე, რომელიც ადამიანების დისკრიმინაციას ეხებოდა.

I. სად ხედავ შენ თავს 10 წლის შემდეგ?
M. J. ინგლისში. მინდა, ავიხდინო ჩემი დიდი ხნის ოცნება.

I. სად შეიძლება შენი ნახვა პარასკევს საღამოს?
M. J. ამოჩემებული ადგილი არ მაქვს. მეგობრებთან ერთად სადმე ბარში ან ქალაქგარეთ. მას შემდეგ, რაც ჯანსაღი ცხოვრების წესით დავკავდი, მაქსიმალურად ვცდილობ, თავი ავარიდო ხმაურიან ადგილებს.

THE BODY BOOK
Cameron Diaz

ცნობილი მსახიობი, კამერონ დიასი საზოგადოების წინაშე მწერლის ამპლუაში წარსდგა. მისი წიგნი – The Body Book – არაერთგვაროვან რეაქციებს იწვევს. მკითხველთა ნაწილის აზრით, ის, რომ კამერონი სხეულის იდეალებზე საუბრობს და არ არის ქალბატონი ჩვეულებრივი ცხოვრების წესით, გამაღიზიანებელია, თუმცა, აუცილებლად უნდა ითქვას, რომ ის არავის მოუწოდებს, იყოს მისნაირი, ის, უბრალოდ, პროპაგანდას უწევს ცხოვრების ჯანსაღ წესსა და ჯანსაღ კვებას.

УКРОТИТЕЛИ ЛИМФОЦИТОВ
и другие неофициальные лица
Елена Павлова

ელენა პავლოვას „Укротители лимфоцитов и другие неофициальные лица“ შედგება ფრაგმენტებისაგან ლაბორატორიული ბლოკნოტიდან, რომლის ველებსა და ცდებისთვის მონიშნულ ადგილებს შორის აღმოჩნდა სასაცილო და სერიოზული ისტორიები რეალურად არსებული იმუნოგენური ლაბორატორიის ცხოვრებიდან. ისტორიები არ არის დამყარებული ერთ, საერთო სიუჟეტზე. გმირები: ექიმები, ლაბორანტები, სტუდენტები გადადიან თხრობიდან თხრობაში, ისე, როგორც რეალურ ცხოვრებაში.

FRENCH WOMEN DON’T GET FAT
Mireille Guiliano



მარეი გუილიანოს French Women Don’t Get Fat მოგვითხრობს იმაზე, თუ როგორ არ სუქდებიან ფრანგი ქალები, მიუხედავად იმისა, მიირთმევენ ცომეულს თუ სვამენ ღვინოს. ავტორი საუბრობს პერიოდზე, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში გადავიდა საცხოვრებლად და ფორმა მთლიანად დაკარგა. ამის შემდეგ მან გადაწყვიტა, დაეწერა რეკომენდაციები იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მიირთვა ყველაფერი და იყო მუდმივად კარგ ფორმაში.

ONE PLUS ONE
Jojo Moyes



JOJO Moyes-ის ცხოვრებისეული ნაშრომი – One Plus One – მოგვითხრობს ცხოვრების მრავალფეროვნებაზე, მის შემადგენელ ნაწილებზე, ბედნიერებასა და უბედურებაზე, ოჯახურ რუტინაზე, რომელიც შეიძლება გამოწვეული იყოს სხვადასხვა მიზეზით. ნაშრომი არ მიეკუთვნება წიგნების იმ კატეგორიას, როდესაც ბოლო გვერდის წაკითხვისთანავე გიჩნდება ყველაფრის თავიდან დაწყების სურვილი.

THE ROVER

ჟანრი: დრამა
რეჟისორი: David Michôd
მსახიობები: Guy Pearce, Robert Pattinson, Scoot McNairy
ბიუჯეტი: $12.000.000

დევიდ მიშოდის (David Michôd) ახალი ფილმი – The Rover – გაი პირსისა (Guy Pearce) და რობერტ პატინსონის (Robert Pattinson) მონაწილეობით, რეჟისორის მეორე სრულმეტრაჟიანი ფილმია. აქამდე ის, ძირითადად, მოკლემეტრაჟიანი და დოკუმენტური ფილმების გადაღებით იყო ხოლმე დაკავებული, მას მაყურებელი მსახიობის ამპლუაშიც ძალიან კარგად იცნობს. ამჯერად კი გადაწყვიტა, რომ საზოგადოებისთვის თავისი მეორე სრულმეტრაჟიანი ნამუშევარი გაეცნო. მისი პირველი ფილმი, Animal Kingdom-იც ძალიან წარმატებული გამოდგა და ის იმედოვნებს, რომ ახალი ფილმიც იმავე გზას გაუყვება. Rover პირველად კანის კინოფესტივალზე აჩვენეს და კრიტიკოსების დიდი მოწონება დაიმსახურა. ფილმი ავსტრალიის ცარიელ ქალაქში მცხოვრებ მარტოხელა კაცზე მოგვითხრობს, რომელიც შეიარაღებული ბანდის ნაკვალევს მისდევს იმისთვის, რომ მოპარული მანქანა უკან დაიბრუნოს. ბანდის ერთ-ერთი დაჭრილი წევრი, რომელიც მიატოვეს, იძულებული ხდება, დაეხმაროს მარტოხელა კაცს. სხვადასხვა ფესტივალზე წარდგენის შემდეგ, ფილმი კინოგაქირავებაში 20 ივნისიდან ჩაეშვა.

WISH I WAS HERE

ჟანრი: კომედია, დრამა
რეჟისორი: Zach Braff
მსახიობები: Zach Braff, Donald Faison, Josh Gad, Pierce Gagnon, Ashley Greene, Kate Hudson
ბიუჯეტი: $6.000.000

წარმატებული სარეჟისორო დებიუტის, ფილმ Garden State-ის შემდეგ რეჟისორმა ზაკ ბრაფმა (Zach Braff) მეორე სრულმეტრაჟიანი ფილმის, Wish I Was Here-ის, გადაღება გადაწყვიტა. აღსანიშნავია, რომ ერთ-ერთ მთავარ როლს რეჟისორი თავად თამაშობს. მისი პარტნიორი კი ცნობილი ვარსკვლავი, ქეით ჰადსონი (Kate Hudson) იქნება. ფილმი 35 წლის მამაკაცის შესახებ მოგვითხრობს, რომელიც იძულებული ხდება, რომ ცხოვრებაში რაღაცები შეცვალოს და კარიერასა და ოჯახს სხვანაირად შეხედოს. ფილმის ჩვენება პირველად ზამთარში, სანდენსის კინოფესტივალზე, გაიმართა, ხოლო მსოფლიო პრემიერა ცხელ ზაფხულში, უფრო კონკრეტულად კი 18 ივლისს. ფილმის გამოსვლამდე გავრცელდა მისი საუნდტრეკი, რომელმაც ხალხში უკვე დიდი მოწონება და აღფრთოვანება გამოიწვია. ფილმისავე სახელწოდების სიმღერის ავტორი ცნობილი ბრიტანული ჯგუფი ქოლდფლეია. ესეც, რაღა თქმა უნდა, პლუსად უნდა ჩაითვალოს, რადგან ჯგუფის ფანების აურაცხელი არმია ფილმის მიმართ ორმაგ ინტერესს გამოიჩენს.

22 JUMP STREET

ჟანრი: კომედია, ბლოგბასტერი
რეჟისორი: Phil Lord, Chris Miller
მსახიობები: Jonah Hill, Channing Tatum, Peter Stormare, Wyatt Russell, Amber Stevens, Jillian Bell
ბიუჯეტი: $65.000.000

ცნობილი კომედია – 21 Jump Street, რომელიც ერთი წლის წინ გამოვიდა კინოეკრანებზე და მაყურებლის დიდი მოწონება დაიმსახურა, გრძელდება. ფილმი გმირების ისტორიას 1 წლის შემდეგ მოგვითხრობს, სახელიც შესაბამისი აქვს – 22 Jump Street. სკოლის დამთავრების შემდეგ შმიდტისა და ჯენკოს ისტორია კოლეჯში გრძელდება. ზაფხულის ერთ-ერთი ყველაზე „ცხელი“ კომედიის პრემიერა ივნისის დასაწყისში შედგა და ამჯერადაც დიდი მოწონება დაიმსახურა. ფილ ლორდისა (Phil Lord) და კრისტოფერ მილერის (Christopher Miller) ნამუშევარი წარმატებით სარგებლობს მსოფლიო კინოეკრანებზე.

BEGIN AGAIN

ჟანრი: კომედია, მელოდრამა
რეჟისორი: John Carney
მსახიობები: Keira Knightley, Mark Ruffalo, Adam Levine, Hailee Steinfeld, James Corden
ბიუჯეტი: $25.000.000

რეჟისორმა ჯონ კარნიმ (John Carney), რომელიც ცნობილია ფილმით – Once, ახალი ნამუშევარი წარუდგინა მაყურებელს. ნახსენები ფილმის მსგავსად, რეჟისორმა არც ამ ფილმში აუარა გვერდი მუსიკალურ თემატიკას. ახალ ფილმში სათამაშოდ მან კირა ნაიოლი (Keira Knightley), მარკ ბუფალო (Mark Ruffalo) და ადამ ლევინი (Adam Levine) მიიწვია. Begin Again მოგვითხრობს ურთიერთობის შესახებ ახალგაზრდა მუსიკოსსა და დისკრედიტირებულ მუსიკალურ პროდიუსერს შორის, რომლებიც შემთხვევითი შეხვედრის შემდეგ ერთად მუშაობას გადაწყვეტენ. ფილმმა ძალიან ბევრი კინოფესტივალი მოიარა, რომელთა შორის ტორონტო და სიდნეიც არის. წარმატებული საფესტივალო დებიუტის შემდეგ Begin Again კინოგაქირავებაში ეშვება. მისი მსოფლიო პრემიერა ამერიკის შეერთებულ შტატებში 11 ივლისს გაიმართა.

ნიკა დვალიძე

ჟურნალისტი

ზოგადად, მუსიკას ძალიან ხშირად უსმენს – სხვადასხვა დროსა და პერიოდში სხვადასხვა ჟანრს. ხშირად საუბრის დროსაც უკეთია ყურსასმენები და ფიქრობს, რომ თუ არის რაღაც, რის გარეშეც ვერასოდეს და ვერაფრით შეძლებს, ეს არის მუსიკა.



KAYOT

ONE WEEK ON CUBA

„რამდენიმე კვირის წინ, სრულიად შემთხვევით, ბათუმის ერთ-ერთ კლუბში ვისმენდი, შემდეგ ვიპოვე და როგორც კი ვიგრძნობ, რომ ბევრს ვფიქრობ ან ვნერვიულობ რაღაცაზე, მომენტალურად ვრთავ.“



SVANSIKH

FEVER

„ყოველთვის მხარს ვუჭერ ქართველ არტისტებს და ვფიქრობ, სვანსიხი მათ შორის ერთ-ერთი საუკეთესოა. ძალიან დიდი პოტენციალი აქვთ და ყოველი ახალი ტრეკი წინაზე უკეთესია.“

KÖLSCH

CASSIOPEIA

„ოცნებები ამისრულდა, როდესაც გავიგე, რომ ჩამოვიდოდა. ჩემთვის ერთდროულად ძალიან სენტიმენტალური, მაგრამ უზომოდ პოზიტიურია. მიყვარს!“

KATY PERRY

BIRTHDAY

„კი, პოპსაც ვუსმენ, ძალიან მეხმარება, როდესაც საქმე მაქვს გასაკეთებელი და ხალისიანი მუსიკალური ფონი მჭირდება.“

NATASHA BEDINGFIELD

RAY OF LIGHT

„მადონას სიმღერის „ქალერია“ და შარშანდელს შემდეგ ჩემი ცხოვრების ერთ-ერთ საუნდტრეკად იქცა.“

“primeclass” CIP სამსახური
თქვენი პირადი დამხმარე აეროპორტში

ექსკლუზიური მომსახურება
ჩამოსვლისას
თუ გამგზავრებისას

მებარგულის
მომსახურება

პირადი ასისტენტი
უსაფრთხოების კონტროლის
გავლისას

პირადად თქვენთვის
განკუთვნილი მოსასვენებელი
დარბაზები

TAV
primeclass

თბილისი : +995 322 310 330
ბათუმი : +995 422 235 111
www.primeclass.com.tr
TAV Georgia Operation Services L.L.C.

იცით თუ არა რომელ ეტაპზეა თქვენი

სასიყვარულო

ურთიერთობა?

სიყვარული უძველესი დროიდან დიდ ინტერესს იწვევდა ადამიანებში და ამას მოწმობს თუნდაც ის მითი, რომელიც დიდი ხანია არსებობს და რომლის თანახმადაც ძალიან დიდი ხნის წინ ქალი და მამაკაცი ერთ მთლიანობას წარმოადგენდა, ორი თავით, ორი სხეულით, თუმცა ერთი გულით. ეს იყო სამყაროში ყველაზე ბედნიერი არსება. მაგრამ ერთ დღესაც თურმე ღმერთებს შეშურდათ ამ არსების ბედნიერების, რის გამოც ისინი განაცალკევეს და დააშორეს ერთმანეთს. ამის შემდეგ, მითის თანახმად, თითოეული ქალი და მამაკაცი საკუთარ ნახევარს ეძებს...

Photographed by Soli Art

ავტორები
დიანა ნიკოლაიშვილი
ნინო ვერხვიაშვილი
ექიმი-ფსიქოთერაპევტები,
ფსიქოთერაპიისა და პიროვნული ზრდის
ცენტრ „სტიმულის“ ხელმძღვანელები

ათ, ვისაც ამ მითის სჯერა, მიაჩნიათ, რომ ჭეშმარიტი სიყვარულის განსაცდელად აუცილებელია იმ „ერთადერთის“ პოვნა. ხოლო ადამიანები, რომლებიც ამ მითს არასერიოზულად თვლიან, ფიქრობენ, რომ ბედნიერებისათვის აუცილებელი სულაც არაა იმ „ერთადერთთან“ შეხვედრა და რომ სავსებით შესაძლებელია ჭეშმარიტი სასიყვარულო ურთიერთობის აწყობა არაერთ პოტენციურ კანდიდატთან. სიყვარულის თანამედროვე ტიპოლოგიაში მის 6 სტილს გამოყოფენ:

ეროსი

ვნებიანი სიყვარული-ლტოლვა, რომელიც სრული ფიზიკური დაუფლებისკენ ისწრაფვის. ეს სიყვარული მთლიანადაა დაფუძნებული 2 ადამიანის ფიზიკურ მიზიდულობაზე. ნაპერწკალს ჰგავს – სწრაფად ინთება და როგორც წესი, სწრაფად ქრება. ის იშვიათად უსწრებს წინ გრძელვადიან და ღრმა გრძნობას.

ლუდუსი

ჰედონისტური სიყვარული-თამაში, რომელიც სიღრმისეული გრძნობით არ გამოირჩევა და შედარებით ადვილად უშვებს ღალატის შესაძლებლობას. ის უფრო მეტად ჰგავს ფლირტს, ვიდრე ნამდვილ გრძნობას და ისევე, როგორც ფლირტს სჩვევია, მონაწილეები ადვილად ერთვებიან საინტერესო „თამაშში“. ასეთი ურთიერთობა ბევრს არ ითხოვს მონაწილეებისგან – თითოეული მათგანი თავისი ცხოვრებით ცხოვრობს და პარტნიორს მოთხოვნებს არ უყენებს.

სტორგე

მშვიდი, თბილი და საიმედო სიყვარული-მეგობრობა. ამ გრძნობას ახასიათებს სინაზე, ურთიერთგაგება, ზრუნვა. ის ვითარდება არა წამიერად, არამედ თანდათან და უფროდაუფრო ღრმად იდგამს ფესვებს. სიყვარულის ამ სტილში სექსი თითქოს სულიერი სიახლოვის გაგრძელებას წარმოადგენს. ეს არის ღრმა და მტკიცე სიყვარული, რომელიც ბევრ გამოცდას უძლებს.

პრაგმა

ლუდუსისა და სტორგეს სინთეზით შექმნილი რაციონალური სიყვარული-პრაგმატულობა, რომელიც მარტივად ექვემდებარება ცნობიერ კონტროლს. ამ შემთხვევაში ადამიანს აქვს გარკვეული მოთხოვნები მომავალი პარტნიორის მიმართ და სიყვარულის ობიექტს სწორედ ამ მოთხოვნებიდან გამომდინარე ეძებს. როგორც კი ასეთი პოტენციური პარტნიორი ნაპოვნია, ვითარდება „პრაგმა“. ასეთი სიყვარული დროთა განმავლობაში უფროდაუფრო თბილი და სასურველი ხდება, ოღონდ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ პარტნიორი მოლოდინს გაამართლებს.

მანია

ეროსისა და ლუდუსის შერწყმით მიღებული ირაციონალური სიყვარული-შეპყრობილობა, რომლისთვისაც ტიპურია საკუთარი თავის რწმენის ნაკლებობა და ლტოლვის ობიექტზე მიჯაჭვულობა. ეს არის ძლიერი, ყოვლისმომცველი, ფეთქებადი გრძნობა. ის შეიძლება, გარკვეულწილად, შეპყრობილობასაც შევადაროთ. ის, ვინც მანიით არის შეპყრობილი, პარტნიორისგან მუდმივად ითხოვს ყურადღებასა და სიყვარულს. ამ გრძნობას განწყობის ხშირი ცვალებადობა ახასიათებს: გიჟური სიხარულიდან უსაზღვრო სასოწარკვეთილებამდე.

აღაპე

უანგარო სიყვარული-გაცემა, ეროსისა და სტორგეს სინთეზი. ის სავსეა ალტრუიზმითა და მოთმინებით. ასეთ ადამიანს პრაქტიკულად ყველაფრის პატიება შეუძლია, საყვარელი ადამიანის ღალატისაც კი.

Ძველესი ვედური ტრადიციის თანახმად, ქალისა და მამაკაცის სიყვარულს 12-წლიანი ციკლი გააჩნია. ნუ იფიქრებთ, რომ 12 წლის შემდეგ სიყვარული კვდება. არა, პირიქით, თუ თქვენ ამ 12 წლის განმავლობაში სწორად გაივლით სიყვარულის 7 ეტაპს, შეგიძლიათ ჩათვალოთ, რომ თქვენ ამ გრძნობას აღარ დაკარგავთ და მთელი ცხოვრების განმავლობაში შეინარჩუნებთ. საინტერესოა ისიც, რომ ეს სტადიები ყოველთვის ერთი მეორის მიყოლებით არ ვითარდება (ერთი დამთავრდა და მეორე დაიწყო) და ზოგჯერ პარალელურადაც მიმდინარეობს. თითოეულ მათგანს თავისი ხანგრძლივობა აქვს. და მაინც, რომელია ეს სტადიები?



1

როგორც წესი, ურთიერთობა იწყება შეყვარებულობით, როდესაც ქალი და მამაკაცი გატაცებულია ერთმანეთით, მათ ავსებთ ვნება, გრძნობები, რომანტიკა. ეს პერიოდი განპირობებულია ჰორმონალური ფონით და ის გრძელდება სამი თვიდან ორ წლამდე.

2

შემდეგ დგება შეჩვევის ეტაპი, როდესაც რომანტიკული ურთიერთობა პიკს აღწევს და ყოველდღიურობად იქცევა. ამ დროს ურთიერთობა ჰგავს ამინდს ჭექა-ქუხილის წინ – ყველაფერი საეჭვოდ მშვიდად არის, მაგრამ ჰაერში უკვე ჭექა-ქუხილის სუნი ტრიალებს.

3

მომდევნო ეტაპია კამათის ეტაპი – კონფლიქტი უკვე მომწიფებულია და აშკარა სახეს იძენს. გაითვალისწინეთ, რომ ეს სამი პუნქტი აღწერს ურთიერთობის განვითარების ყველაზე ხშირ სცენარს: შეყვარებულობა (მოხიბლვა) – მიჩვევა – კამათი (ზიზღი). კამათის სტადიაზე ადამიანები შორდებიან იმის იმედით, რომ სხვა პარტნიორთან უფრო მეტად გაუმართლებთ, მაგრამ როგორც წესი, სიტუაცია კვლავ მეორდება.

4

შემდეგი ეტაპი გახლავთ მოთმენის სტადია, რომლის დროსაც ადამიანები ხვდებიან, რომ უნდა მოითმინონ და ყველაფერი გამოუვათ და ურთიერთობა ისევ აეწყობათ. გარკვეული დროის შემდეგ ეს ეტაპი მთავრდება და ურთიერთობა თითქოს ახლდება. იწყება ახალი მარყუჟი – შეყვარებულობა – მიჩვევა – კამათი – მოთმენა და... ისევ ახალი მარყუჟი.

ეს კიდევ ერთი სცენარია, რომლის მიხედვითაც შეიძლება განვითარდეს ურთიერთობა. ამ შემთხვევაში ურთიერთობა შეიძლება იყოს უფრო ხანგრძლივი, რადგან პარტნიორებმა უკვე იციან, რომ კამათი არის ეტაპი, რომელიც ჩაივლის და რომლის შემდეგაც ურთიერთობის ახალი მარყუჟი დაიწყება. ამ დროს ქალი და მამაკაცი ან შორდებიან ერთმანეთს, როდესაც მოთმინების ფიალა ივსება ან ცდილობენ, არსებულ პარტნიორთან ააწყონ მყარი და ჰარმონიული ურთიერთობა. ამ უკანასკნელ შემთხვევაში ისინი შემდეგ საფეხურზე ინაცვლებენ.

5

მსახურობა – არის ურთიერთობის განვითარების სრულიად განსხვავებული ვარიანტი. სწორედ ამ ეტაპიდან იწყება სიყვარულთან მიახლოვება. თუ წინა ეტაპებზე მოტივები ეგოისტური იყო, აქ უკვე ჩნდება იდეა, ემსახურო პარტნიორს, მის სასარგებლად იმოქმედო და მის სიამოვნებაზე იზრუნო.

6

შემდეგი ეტაპი მეგობრობაა, რომელიც დგება მაშინ, როდესაც მსახურობის შედეგად წყვილს უკვე დაუგროვდა ერთმანეთისადმი ნდობისა და მადლიერების გრძნობა.

7

სიყვარული!!! ამ გრძელი და რთული გზის ბოლოს წყვილი იღებს დამსახურებულ ჯილდოს – ჭეშმარიტ სიყვარულს, რომელიც არ სრულდება, პირიქით, დროსთან ერთად მხოლოდ ძლიერდება და ღრმავდება.

ითვლება, რომ ამ ეტაპების გასავლელად საჭიროა 12 წელი ან მეტი. რომელიმე ეტაპზე დიდხანს გაჩერება (გაჭედვა) საფრთხეს უქმნის წყვილის ბედნიერებას. თუ წყვილი თავად ვერ ახერხებს შემდეგ ეტაპზე გადასვლას, მან შეიძლება ოჯახური ფსიქოთერაპიის რამდენიმე სეანსის შემდეგ ეს პრობლემა გადაჭრას და შედეგად, განაგრძოს გზა ჭეშმარიტი და ბედნიერი სიყვარულისაკენ.

INTERVIEW და ფსიქოთერაპიისა და პიროვნული ზრდის ცენტრი „სტიმული“ გისურვებთ სულიერ სიმშვიდეს!

თბილისი-დუბაი-ნეპალი-დუბაი-თბილისი

სათაურიდან ალბათ უკვე მიხვდით, რომ მოგზაურობაზე მინდა მოგითხროთ; საინტერესო, უჩვეულო და კონტრასტებით სავსე ორ კვირაზე. ვისთვისაც დუბაი და ნეპალი საოცნებო ქვეყნებია, ნამდვილად არ შემცდარხართ, ეს ორი ქვეყანა ერთმანეთისაგან რადიკალურად განსხვავდება, მაგრამ ორივეს უამრავი რამ აქვს სტუმრების გასაოცებლად.

ავტორი
ანუკი
ნაცვლიშვილი

flydubai

მოგზაურობა ყოველთვის მგზავრობით იწყება; მე თვითმფრინავით ვიმგზავრე. თუ ფრენა 2 საათზე მეტხანს გრძელდება, გირჩევთ, ბიზნესკლასით იმგზავროთ.

სიმართლე გითხრათ, ბევრი არ მიფიქრია, flydubai შევარჩიე. მეგობრებმა მირჩიეს და გადავწყვიტე, თავად გამომეცადა. დაწვრილებით მინდა მოგიყვეთ, რადგან მთელი მოგზაურობის განმავლობაში ოთხჯერ მომიწია ამ სერვისით სარგებლობა და ვფიქრობ, მათთვის ვისაც სურს, იგივე გამოსცადოს, ეს მონათხრობის ერთ -ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იქნება.

ბიზნესკლასის სალონში მაქსიმალური სივრცეა კომფორტული მგზავრობისათვის. სულ 12 სავარძელია. ყოველი მათგანი დამზადებულია იტალიური ტყავისგან და აქვს რეგულირებადი ხელის დასაყრდნობი, თავის დასადები და გასაშლელი ფეხის ჩამოსადები თარო. დასაჯდომი სივრცის სიგანე 53 სანტიმეტრზე მეტია, წინა სავარძელთან დაშორება კი ერთ მეტრზე მეტი. სალონი აღჭურვილია უნივერსალური სტანდარტის >

fly dubai

შესაერთებლებით სხვადასხვა ელექტრონული მოწყობილობებისათვის. აქვე დამონტაჟებულია HD ხასისხის სენსორული ეკრანები. არჩევანი მრავალფეროვანია – 200-ზე მეტი მხატვრული და დოკუმენტური ფილმი (რამდენიმე ენაზე), ტელეპროგრამა, მუსიკა და თამაშები... ასე რომ, არ მოიწყენთ. მგზავრებს ურიგდებათ სპეციალური ყურსასმენები, ხმაურის დახშობის ფუნქციით. 1,5 მეტი ხანგრძლივობის ფრენისას შეგიძლიათ მიირთვათ გემრიელი აპეტაიზერები და სხვადასხვა ქვეყნის ცხელი კერძები, უფრო მოკლე დისტანციებზე კი აპეტაიზერები და დესერტები. სასმელი შეგიძლიათ მოითხოვოთ, როცა მოგესურვებათ, ისიამოვნეთ!

დამეთანხმებით, მხოლოდ კომფორტი არაფერია, თუ მგზავრობას ემოციები არ ახლავს, ემოციებს კი ადამიანები ქმნიან ერთმანეთთან ურთიერთობით. პერსონალის ყურადღება, ღიმილი და პროფესიონალიზმი ხდის სერვისს სრულყოფილს.

ასეთი კომფორტის შემდეგ ვერც კი გრძნობ, როგორ ჩაიარა ღრუბლებში გატარებულმა დრომ. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ბიზნესკლასი მხოლოდ თვითმფრინავში მომსახურებით არ შემოიფარგლება, ეს არის აფრენამდე სასიამოვნოდ გატარებული დრო ლაუნჯ დარბაზებში, მომღიმარი პერსონალით და გემრიელი საკვებით. ასე რომ, ჩემი რჩევა იქნება, არც იფიქროთ ეკონომკლასზე, მხოლოდ flydubay და მხოლოდ ბიზნესკლასი! >

JUMEIRAH BEACH HOTEL

Dubai

სასიამოვნო ფრენის შემდეგ თქვენ დუბაი გელით. პირველი რჩევა: ნუ დარჩებით აეროპორტში და Stop over-ით ისარგებლეთ, რადგან დრო, კატმანდუში გაფრენამდე სასიამოვნოდ შეგიძლიათ გაატაროთ. სასტუმრო, რომელსაც ახლა გირჩევთ, ეკუთვნის უმსხვილეს არაბულ კომპანიას – Jumeirah Group – International – და ის პრემიუმ კლასისაა. აქ შეგიძლიათ, როგორც საყვარელ ადამიანთან ერთად დროის რომანტიკულად გატარება, ისე ოჯახთან, ბავშვებთან ერთად არაჩვეულებრივი არდადეგების მოწყობა. სასტუმროს Jumeirah Beach Hotel ჰქვია, მას ტალღის ფორმა აქვს და ამიტომ ხშირად ასეც მოიხსენიებენ. Jumeirah Beach Hotel-ი აეროპორტთან საკმაოდ ახლოს არის და ამიტომ ბევრ დროს არ დაკარგავთ გზაში, რაც კიდევ ერთი პლუსია Stop over-ისათვის. სასტუმრო და მისი ინფრასტუქტურა ზღვის ნაპირზეა განლაგებული. ნომრებიდან სპარსეთის ყურეს ულამაზესი ხედი იშლება. წარმოიდგინეთ მაქსიმალურად კომფორტული სასტუმროს ოთახი, უმაღლესი დონის მომსახურება... ასეთი შანსის ხელიდან გაშვება არ შეიძლება. სასტუმრო გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის გასართობ საშუალებებს. თუ აქტიურ გართობას ანიჭებთ უპირატესობას, გვიანი ვახშმის შემდეგ კლუბს შეგიძლიათ ეწვიოთ, ხოლო თუ სიმშვიდე გიყვართ, ასეთ გარემოში ფეხით გასეირნებას არაფერი ჯობს. >

დილა Jumeirah Beach Hotel-ში უგემრიელესი საუზმით იწყება. საინტერესო ისაა, რომ თქვენთვის კერძებს სხვადასხვა ქვეყნის საუკეთესო მზარეულები ამზადებენ. საუზმეზე ერთდროულად რამდენიმე ქვეყნის ტრადიციული კერძები შეგიძლიათ დააგემოვნოთ, გურმანებისთვის ეს ნამდვილი ზეიმია.

აეროპორტში გამგზავრებამდე იმის დროც გრჩებათ, რომ სანაპიროზე გაისეირნოთ და ზღვაში ან აუზში იცურაოთ.

აი, ასე შეგიძლიათ გამოიყენოთ დრო, რომელიც აეროპორტში უნდა გაგეტარებინათ.

ვემშვიდობებით სასტუმრო Jumeirah Beach Hotel-ს და ტრანსფერით მივემგზავრებით აეროპორტისაკენ. Business Lounge-ში დრო ისე გადის, რომ საერთოდ ვერ გრძნობ. მივფრინავთ კატმანდუში. >

Nepal

კატმანდუს აეროპორტით გამოწვეული პირველი რეაქცია გაოცებაა. რთულია, რამენაირად დააკავშირო აქაურობა ცივილიზაციასთან, თუმცა ის, რაც წინ გველოდება ამ ემოციას აბათილებს და გათენებას სულმოუთქმელად ველი. ნეპალზე საუბარი გაუთავებლად შეიძლება, მაგრამ ამას მთელი ჟურნალიც არ ეყოფა, ამიტომ ჩემს მონაყოლს სანახაობებად და იქ მიღებულ შთაბეჭდილებებად დავყოფ. 10 დღე არ არის საკმარისი ნეპალის მოსანახულებლად, თუმცა აუცილებლად უნდა ნახოთ: კატმანდუ, პოხარა და ჩითვანი. >

KATMANDU

ტამელი, სვაიამბუნატხი (მაიმუნების ტაძარი), პაშუპატინატხი (კრემაციის ადგილი) და ბაქტაპური (ძველი ქალაქი) – ეს არის 4 ადგილი, რომლის ნახვასაც გირჩევთ კატმანდუში.

ტამელი – ტურისტული უბანი, შოკისმომგვრელი ადგილი, გამაოგნებლად ხმაურიანი და ქაოტური, საოცარი შერეული არქიტექტურული სტილი, ვიწრო ქუჩებით. აქ შეხვდებით: ტურისტებს, ადგილობრივ მაცხოვრებლებს, პატარა ზომის მანქანებს, მოტოციკლებსა და მინიმოპედებს, რიქშებს, ძაღლებს და კატებს, მტრედებს და ყვავებს და ამ ყველაფერთან ერთად, ამავე ქუჩაზე ყოველ ნაბიჯზე ნახავთ სუვენირებით, სამოსით, ხილით და ბოსტნეულით მოვაჭრეებს, იაფფასიან სასადილოებსა და კაფეებს. აუცილებლად უნდა ნახოთ, რადგან ამას ვერანაირი სიტყვა, ემოცია და ფოტომასალა ვერ გადმოსცემს.


1

2

3

SWAYAMBHUNATH (მაიმუნების ტაძარი – 1,2,3)

სვაიამბუნატხს მაიმუნების ტაძარს ეძახიან, აქ უამრავი მაიმუნი ცხოვრობს. ისინი არ ერიდებიან დამთვალიერებლებს და ხშირად კონტაქტშიც კი შედიან მათთან. ეს ყველაფერი ძალიან უჩვეულოდ გამოიყურება, საოცარი ემოციები გეუფლება, როცა ასეთ გარემოში ხვდები. თვითონ ტაძარი კატმანდუს ერთ-ერთ მაღალ წერტილზეა აშენებული, ამიტომ მთელი კატმანდუ აქედან ხელის გულზე მოჩანს.

4

5

6

BHAKTAPUR (4,5,6)

ბაქტაპური კატმანდუს ცენტრიდან ერთი საათის სავალზეა. ძველი ქალაქია. აქ იშვიათად, მაგრამ გვხვდება მოტოციკლები და მანქანები. ეს რომ არა, იფიქრებდით, რომ ძველ დროში მოხვდით, რადგან აქ ადამიანებს, უმეტესწილად, ძველი სამოსი აცვიათ, ქალები წყალს ძველებური მეთოდით აგროვებენ, ხშირად შეხვდებით პატარა სახელოსნოებს, რომლებშიც ადამიანები სხავადასხვა საქმიანობით არიან დაკავებული. მთავარი სანახაობა ბაქტაპურში არქიტექტურაა. ნამდვილი საოცრებაა, აქ თანამედროვე სამყაროსთან კავშირი წყდება.

7

8

BODHNATH (7,8)

ბოდნატხი კატმანდუს ცენტრში ქაოსსა და ხმაურში, წარმოუდგენელ ადგილას მდებარეობს. ეს არის უზარმაზარი, უძველესი, თეთრი ბუდისტური ტაძარი. მის გარშემო განლაგებულია სხვადასხვა სკოლის და მიმართულების ათობით ტიბეტური მონასტერი. სწორედ აქ არის გადაღებული ერთ-ერთი მთავარი სცენა ბერნარდო ბერტოლუჩის ფილმისათვის - „პატარა ბუდა“. შთამბეჭდავი ადგილია.



9

10

11

PASHUPATINATH (9,10,11)

ერთ-ერთი უდიდესი ინდუისტური სატაძრო კომპლექსი, რომელიც შივას ყველაზე მთავარ წმინდა ტაძრად ითვლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ყოველდღიურად აქ ათასობით მომლოცველი იყრის თავს, უმეტესად ინდოეთიდან და ნეპალიდან.

ამ ადგილს კიდევ ერთი დატვირთვა აქვს - აქ ხდება კრემაცია. საინტერესოა, რომ ნებისმიერს შეუძლია თვალი ადევნოს ამ პროცესს. დგახარ მდინარის მოპირადპირე მხარეს და უყურებ, როგორ ამზადებენ მიცვალებულს, როგორ წვავენ მას კოცონზე სპეციალურად გამოყოფილ ადგილზე და ბოლოს მის ნეშთს წმინდა მდინარე ბაგმატს როგორ ატანენ.

აქვე ნახავთ ჰოსპისებს, სადაც ადამიანები სიკვდილს ელოდებიან. გირჩევთ აიყვანოთ გიდი, რომელიც მოგიყვებათ ისტორიას, დეტალურად აგიხსნით ადათ-წესებს და მოგიყვებათ, რა დანიშნულება აქვს პაშუპატინატხის ტერიტორიაზე განლაგებულ ნაგებობებს, ძალიან საინტერესოა.



POKHARA

კატმანდუდან პოხარამდე მანქანით დაახლოებით 6 საათი დაგჭირდებათ. ეს არის სიდიდით მესამე ქალაქი ნეპალში. პოხარა ტბის პირზეა გაშენებული, სწორედ აქედან ადიან მთამსვლელები ჰიმალაის მწვერვალების დასაპყრობად, ამიტომ ეს ადგილი ტურისტებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. გირჩევთ, ტბის პირას შეარჩიოთ სასტუმრო და ნომერიც მასზე ხედით აიღოთ, რადგან დიდ სიამოვნებას მიიღებთ დღის ნებისმიერ მონაკვეთში მისი ცქერით. მდინარეზე ნავითაც შეგიძლიათ გაისეირნოთ, ქალაქში ხეტიალიც მოგეწონებათ. ნეპალში ამინდი ხშირად იცვლება. უცებ შეიძლება წვიმა წამოვიდეს, მაგრამ მალევე გადაიღოს. ნუ წაიღებთ საწვიმარს და რეზინის ჩექმებს, მსგავს ნივთებს აქ ყოველ ნაბიჯზე შეხვდებით.

პოხარაში აუცილებლად უნდა ნახოთ მზის ამოსვლა. შთამბეჭდავი სანახაობაა. გამთენიისას მთა სარანგოტზე ადიხარ და სპეციალური ნაგებობიდან უყურებ, როგორ ამოდის მზე ანაპურნას მწვერვალიდან, საოცარი სილამაზეა.

თუ ექსტრემალური გართობა გიყვართ, იფრინეთ ZIPFLYER-ით. როგორც ამბობენ, ეს მსოფლიოში საუკეთესო ZIPFLYER-ია, რადგან ყველაზე მაღალი მწვერვალიდან ყველაზე გრძელ მარშრუტზე ეშვება.

CHITWAN
(ნაციონალური პარკი)

თუ ცხოველები და მცენარეები გიყვართ, ჩითვანი თქვენთვის აღმოჩენა იქნება. ეს არის ადგილი, სადაც აუცილებლად ვეცდები, რომ კიდევ დავბრუნდე. სასტუმრო მინდა გირჩიოთ, რადგან ვფიქრობ, რომ აქ ყველაფერია თავმოყრილი დასვენებისათვის და ახალი ემოციების მისაღებად – SAPANA VILLAGE LODGE. იქაურობა სამოთხეს გავს, ეზოში პატარა ორსართულიანი სახლები დგას, სულ რამდენიმე ნომრით; აქვეა საქანელები, ბუნგალოები და ტერასები. სასტუმროს ტერიტორიაზე მდინარე ჩამოედინება, რომელშიც, თუ სურვილი გექნებათ, შეგიძლიათ სასტუმროში მცხოვრები სპილო და სპლიყვი აბანაოთ. SAPANA VILLAGE LODGE ეკოლოგიის დამცველებისათვის ნამდვილი მიგნებაა, რადგან აქ ყველაფერი ECO Friendly-ია და ეს ყველგან იგრძნობა: სასტუმროს ნომრებში, ეზოში, რესტორანში. მოგცემენ დასურათებულ წიგნს, პროგრამით – თუ რითი შეგიძლიათ დაკავდეთ. მაგალითად, შეგიძლიათ გაისეირნოთ სპილოთი ან კანოეთი და დაათვალიეროთ ცხოველები, ფრინველები, თევზები და ქვეწარმავლები. ნიანგებს მდინარეში ხშირად შეხვდებით, მაგრამ ნუ შეგეშინდებათ. კანოეში ჯდომისას ისეთი შეგრძნება გაქვს, თითქოს ყოველ წუთს შეიძლება ამოყირავდე და წყალში

აღმოჩნდე ნიანგებთან, მაგრამ კანოე მთლიანი ხისგან არის გამოკვეთილი, ამიტომ არასდროს ყირავდება, ასე რომ, ამაზე ნუ ინერვიულებთ. შეგიძლიათ ეწვიოთ სპილოების ფერმას, წახვიდეთ ჯიპით საფარიზე, ნაკრძალში, ესტუმროთ სახელოსნოს, სადაც სოფლის მაცხოვრებელი ქალები ხელნაკეთ სუვენირებს ამზადებენ. თუ სუვენირს შეიძენთ, პატარა წვლილს შეიტანთ FAIR TRADE-ის პროგრამაში. აქვე აკეთებენ დროებით ტატუებს ხნით, საინტერესო პროცესია. და კიდევ ერთი უცნაური და საინტერესო რამ – შეგიძლიათ დაქორწინდეთ იქაური ტრადიციებით და რიტუალებით, ესეც პროგრამის ნაწილია. მოკლედ, აქ ვერ შეძლებთ, რომ მოიწყინოთ. ყველაფერი, რომ მოასწროთ, გირჩევთ, 5-6 დღე მაინც გაჩერდეთ და ბოლოს, აუცილებლად გაიცანით სასტუმროს მფლობელი და გენერალური მენეჯერი, დჰრუბა გირი, რომელიც ამ არაჩვეულებრივი სასტუმროს შექმნის გულისამაჩუყებელ ისტორიას მოგიყვებათ.

აქ მთავრდება ნეპალში მოგზაურობა და ახლა უკვე ორი დღით ისევ დუბაის ვუბრუნდებით, სადაც უმშვენიერეს სასტუმრო CREEKSIDE Hotel-ს ვესტუმრებით.

Jumeirah Creekside Hotel

მოგზაურობის ეს ნაწილი კი მათთვისაა, ვისაც თანამედროვე ტექნოლოგიები და ხელოვნება იტაცებს. Jumeirah Creekside Hotel დუბაის ცენტრში მდებარეობს. რთულია სათქმელად, ვისთვის არის ეს სასტუმრო განკუთვნილი, თუმცა თუ მაინც შევეცდებით პოზიციონირებას, ალბათ, პირველ რიგში, გემოვნებიანი ადამიანებისათვის, რომლებისთვისაც კომფორტი და ხარისხი მთავარია, ვინც მსოფლიოს განვითარების ტემპს ფეხს უწყობს და ვისაც არ აშინებს ახალი ტექნოლოგიები, ვინც ჯანსაღი ცხოვრების წესით ცხოვრობს, ვისთვისაც გამოთქმა – The Best or Nothing ახლობელია და ამ პრინციპით ცხოვრობს, ვისაც კულინარიული სიახლეები ხიბლავს... შეგახსენებთ, რომ ჩემი მოგზაურობის მარშრუტს თუ ირჩევთ, თქვენც ზემოთ ჩამოთვლილი ადამიანების სიაში ხვდებით.

მოდით, დავიწყოთ. სასტუმროს ფოიეში შესვლისთანავე აცნობიერებ, რომ ბევრი საინტერესო რამ გელის წინ. გხვდება სასიამოვნო გარეგნობის გოგონა, მარკეტინგისა და კომუნიკაციების მენეჯერი, ალბა ოლივარესი, რომელიც არ შემიძლია არ მოვიხსენიო, რადგან მისი დახვედრა და სასტუმროს გაცნობა ამ კომპანიის ხარისხის მაჩვენებელია და ეს ჩემთვის მნიშნელოვანია. სასტუმრო დეტალურად მინდა აღგიწეროთ, რადგან ის ნამდვილად იმსახურებს ამას.



მდებარეობა

ალ გარუდის ტერიტორიაზე მდებარე ეს სასტუმრო აეროპორტიდან რამდენიმე წუთის გზაზეა, დუბაის ყველაზე მნიშვნელოვანი ღირსშესანიშნაობებისა და სავაჭრო ცენტრებიდან ფეხით სავალ მანძილზე.

ისტორია

სასტუმროს მშენებლობა 2010 წელს დაიწყო, RMJM Architects & Planners-ის დიზაინის მიზედვით და 2012 წლის ივლისს პირველ სტუმრებს უმასპინძლა.

სტრუქტურა და ექსტერიერის დიზაინი

Magus Design-ის მიერ შექმნილი დიზაინით, სასტუმრო Jumeirah Creekside ერთამანეთს უხამებს თანამედროვე სტილს და პარიზის, ნიუ-იორკისა თუ ლონდონის სასტუმროებისთვის დამახასიათებელ ელემენტებს. ბეტონის ღია კედლებით, შუშის მაღალი ჭერით, ხალიჩებით, შუშის ძირიანი აუზით და თანამედროვე ხელოვნების 480-ზე მეტი ექსპონატით, ეს სასტუმრო მართლაც უნიკალურ გამოცდილებას გთავაზობთ.

ამ არაჩვეულებრივ და ცოცხალ სასტუმროს 292 დიდი და კეთილმოწყობილი ნომერი და ლუქსი, ხუთი უნიკალური რესტორანი, ბარი და 25 სამუშაო ოთახი აქვს – მათ შორის, სამეჯლისო დარბაზი, პრესის ოთახი, „სკრინინგ“ ოთახი, Meeting Academy, სრულად მოწყობილი სპორტული დარბაზი და სპა.

ხელოვნება და კულტურა

STAY DIFFERENT™-ის ჭეშმარიტი პრინციპით და კულტურული კავშირის იდეის რეალობაში გადმოტანით, Jumeirah Creekside ინახავს არაჩვეულებრივ, სამუმუზეუმო დონის კოლექციას, რომელიც სპეციალურად მისი სივრცისთვის იყო შეძენილი. შუაზიური თანამერდროვე ხელოვნების ახალ ჭრილში წარდგენის იდეით, კოლექცია სასტუმროს მთელს ტერიტორიაზეა გაშლილი, რაც სტუმრებს საშუალებას აძლევს ამ ნიმუშებით სასტუმროში გატარებული მთელი დროის მანძილზე დატკბნენ. >



რესტორნები და ბარები

სასტუმროში Jumeirah Creekside მსოფლიო დონის ხუთი რესტორანი და ბარია, რომლებიც კულინარიული შესაძლებლობების ფართო სპექტრს გთავაზობთ როგორც ფორმალურ, ისე ყოველდღიურ ატმოსფეროში.

NOMAD – ნომადი – სასტუმროს შუაგულში გაშენებული ეს რესტორანი მრავალფეროვან და უნიკალურ გამოცდილებას გთავაზობთ. თქვენ შეგიძლიათ დაისვენოთ ლაუნჯში ან ბარში, სადაც სასმელების ვრცელი სია და ჩილიმის საუკეთესო არომატები აქვთ, ისიამოვნეთ ლანჩით ან ვახშმით სასტუმროს საფირმო საერთაშორისო რესტორანში. ღია სამზარეულო კარგად დაგანახებთ რესტორნის სამზარეულოს მრავალფეროვნებას და ეშხს, გთავაზობთ საერთაშორისო კერძებს, თანამედროვე ელემენტებით.

CU-BA – კუ-ბა – დახურული და ღია ლაუნჯი სახურავზე ის ადგილია, სადაც სტუმრებს შეუძლიათ, დატკბნენ ტრადიციული და ახალი დუბაის პანორამული ხედებით. კერძო კაბინებით და 25-მეტრიანი საცურაო აუზით. კუ-ბა იდეალური ადგილია საქმიანი მოგზაურისთვის ყოველდღიურობისგან თავის დასაღწევად.

კუ-ბას მენიუში წარმოდგენილია თანამედროვე ლათინური ტაპასი საფირმო ტაკოსით და ხრაშუნა კრევეტის ჩიჩარონით, რომელიც ყველაზე პრეტენზიულ კლიენტსაც კმაყოფილს დატოვებს.

კუ-ბას ასევე აქვს სიგარების და გამოხდილი რომის ფართო არჩევანი – თანამდროვე კუბის გამოცდილების გასამკვეთრებლად.

BLUE FLAME – ლურჯი ალი – მიწის და ზღვის საუკეთესო ელემენტების შეხამებით, ეს საფირმო რესტორანი ინოვაციებითაა ცნობილი. აქ ყველაფერია, სტეიკებიც და ზღვის პროდუქტებიც, უახლესი სეზონური ბოსტნეული – ხაზგასმით ნატურალური და ორგანული. ლურჯი ალი ასევე გთავაზობთ კულინარიულ კურსებს, სადაც ყველა საფირმო კერძის დამზადებას ისწავლით.

PLUMERIA – პლუმერია – კალორიების მოზომილი რაოდენობით და ხილის ჯანსაღი სასმელით, პლუმერია იდეალური ადგილია ჯანმრთელობის საითხით დაინტერესებული ნებისმიერი ინდივიდისთვის. იპოვეთ გემოების თქვენთვის იდეალური შეხამება. აირჩიეთ ნოყიერი სმუზი, ახლადდაწურული წვენები, ხვეულები, ხორბლის ლავაში და მსუბუქი სასუსნავი, თითოეული შექმნილი იმისთვის, რომ ჯანსაღად იკვებოთ.

CRIMSON GALLERY – ალისფერი გალერეა – სასტუმროს ენერგეტიკის ცენტრი, ალისფერი გალერეა ერთ-ერთი მთავარი შეხვედრის ადგილია. ის იდეალურია საღამოს ერთი ფინჯანი ჩაის დასალევად და მსუბუქად წასახემსებლად. კლასიკური და ევროპული სამზარეულოს ყველაზე ცნობილი ელემენტებით გაჯერებულ მენიუში ყველასთვის მოიძებნება სასურველი კერძი.

საკონფერენციო და საბანკეტო დარბაზები

სასტუმრო გთავაზობთ 25 კეთილმოწყობილ შეხვედრების ოთახს, რომლებშიც 10-დან 400 ადამიანამდე ეტევა. შეხვედრის დარბაზები სპეციალურად ისეა მოწყობილი, რომ პროდუქტიულობის მაქსიმალური ნაკადი იყოს უზრუნველყოფილი. ოთახები, მიმაგრებული დასასვენებელი ოთახებითა და სპეციალურად გამოყოფილი გასართობი მონაკვეთებით, მაქსიმალური ეფექტურობისთვისაა შექმნილი და პერსონალიზებული შეხვედრების მოწყობის საშუალებას იძლევა.

სამ სართულზე განთავსებული შეხვედრების ოთახებს პირდაპირი მზის სინათლე ანათებს, თუმცა ეს ხელს არ უშლის პრეზენტაციების ჩვენებას. სიმწვანეში ჩაფლული, შეხვედრების ოთახები დაცულია ქალაქის ხმაურისა თუ სხვა დამაბნეველი ფაქტორებისაგან და ფიქრისთვის იდეალურ სიმშვიდეს სთავაზობს სტუმრებს.

THE ACADEMY – ეს არის თანამედროვე, დინამიური კონცეფცია ბიზნესის სამყაროში. აკადემია უნივერსიტეტის ცხოვრების მოგონებებს აღძრავს. ეს ადგილი სპეციალურად არის შექმნილი შეხვედრებისთვის, >

კორპორატიული ჯგუფებისთვის, ტრენინგების და სემინარებისთვის, ეს მულტიფუნქციური ოთახი თეთრი დაფის კედლებით არის აწყობილი და სრულად უზრუნველყოფილი პრესის ოთახი აქვს, რომელიც იდეალურია ინტერაქტიული კონფერენციებისთვის.

სამეჯლისო დარბაზი: სასტუმროს ფოიეს ქვედა სართულზე განთავსებულ სამეჯლისო დარბაზს 500-კაციანი ბანკეტის მასპინძლობა შეუძლია. აქ არის ცალკეული პერსონალით უზრუნველყოფილი შესასვლელი და 400-მანქანიანი მიწისქვეშა პარკინგი. სამეჯლისო დარბაზი სასტუმროსგან სრული იზოლირების პირობებშიც იდეალურად იმუშავებს.

გარე ობიექტები: სასტუმროს ასევე აქვს უამრავი გარე ობიექტი, რომლებიც ნებისმიერ ღონისძიებას დამატებით ხიბლს სძენს; მათ შორის არის ულამაზესად მოწყობილი ბაღები. სახურავზე გაშენებულია მოსასვენებელი ადგილები ფანტასტიკური ხედებით.

AKARU SPA

აკარუ სპა სასტუმროს სტუმრებს რელაქსაციისათვის იდეალურ პირობებს სთავაზობს. სპას 14 სამკურნალო ოთახი და 2 გარე კაბინა აქვს და 30-ზე მეტ საფირმო პროცედურას გთავაზობთ, რომლებიც გაახალგაზრდავების და ჯანსაღი შეგრძნებების საუკეთესო წყაროა. აქ ასევე შეგიძლიათ არაქირურგიული ლიფტინგი და სხვა მსგავსი პროცედურები ჩაიტაროთ. სპაში ფუნქციონირებს სოლარიუმი და ჟანგბადის ოთახიც – სუფთა ჰაერის საუკეთესო წყარო.



სპორტი და გართობა

სარგებლობს რა ახლოს მდებარე ავიაციის კლუბის და Dubai Creek გოლფ და იახტ კლუბებით, Jumeirah Creekside სტუმრებს სთავაზობს სპორტის და დასვენების საშუალებების ფართო და განუმეორებელ სპექტრს. განურჩევლად იმისა, მთელი სხეულის გავარჯიშება გნებავთ, ჩოგბურთის თამაში, თუ ღამის სპეციალურ სამანქანე ტრასაზე გატარება, შეგიძლიათ დარწმუნებული იყოთ, რომ სასტუმრო იდეალურად არის პოზიციონირებული თქვენი სპორტული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად.

მათთვის, ვისაც განტვირთვა შედარებით მშვიდი ტემპებით ურჩევნია, Jumeirah Creekside პრიზიორ აკარუ სპას მიგასწავლით, ნამდვილ სამოთხეს ქალაქის შუაგულში.

ავიაციის კლუბის ფიტნესცენტრი სავარჯიშო დარბაზში გიწვევთ; გთავაზობთ სქვოშის ორ დახურულ დარბაზს, ორ საცურაო აუზს, პლაჟის ფრენბურთის მოედანს, საცეკვაო სტუდიას, RPM სტუდიას და ჩოგბურთის მოედანს. ამას გარდა, ჯაკუზი, საუნა და ორთქლის ოთახები იდეალური ანტიდოტია ენერგიული და დატვირთული აქტივობების შემდეგ. სავარჯიშო დარბაზი, 1,600-ზე მეტი წევრით და სპეციალური კაფეთი, მთავარი შეხვედრის ადგილია მათთვის, ვისაც ჯანსაღი ცხოვების წესი აქვთ არჩეული.

სასტუმროს სტუმრებს ასევე შეუძლიათ Dubai Creek გოლფ და იახტ კლუბებს ეწვიონ, რომლებიც სასტუმროდან დაახლოებით სამი წუთის სავალზეა.

როგორ ფიქრობთ, ამ ყველაფრის წაკითხვის შემდეგ შეიძლება უარი თქვათ აქ სტუმრობაზე?

აქ გემშვიდობებით, მაგრამ Jumeirah Creekside Hotel-ში აუცილებლად დავბრუნდები.

TBILISI OPEN AIR 2014

6, 7 და 8 ივნისს ლისის ტბაზე ყოველწლიური Tbilisi Open Air 2014 გაიმართა. ეს არის 72-საათიანი ნონ-სტოპ მუსიკალური ფესტივალი, რომელიც აერთიანებს სხვადასხვა ჟანრს, არტისტსა და მუსიკის მოყვარულს. სამი დღის განმავლობაში, როგორც ქართველი, ისე უცხოელი შემსრულებლები წარსდგნენ მსმენელის წინაშე.





INTERVIEW მთელი ამ ხნის განმავლობაში ფესტივალზე იმყოფებოდა, როგორც ღონისძიების მედიაპარტნიორი და სხვადასხვა აქტივობით ართობდა დამსწრე საზოგადოებას.

მიუხედავად წვიმისა და სხვა დაბრკოლებებისა, ფესტივალმა კარგად ჩაიარა და მელომანებს სამი არაჩვეულებრივი დღე აჩუქა.

ანი ანდრიაძე

მარკეტოლოგი, 22 წლის

Open Air – საუკეთესო საშუალებაა მუსიკის მოყვარულებისთვის, ფესტივალი, რომელიც საშუალებას აძლევს მელომანებს, მოუსმინონ დამწყებ, თუ პროფესიონალ მუსიკოსებს და შეაფასონ.

გიორგი გიორგაშვილი

ჰიდროეკოლოგი, 27 წლის

მე მელომანი ვარ და ეს უკვე საკმარისი მიზეზია Tbilisi Open Air-ზე წასასვლელად. ვარ სოციალური და ჩემნაირი ადამიანები ვერასდროს ამბობენ უარს ფესტივალებზე. იქ გეძლევა საშუალება, ნახო მუსიკისგან გაბრუებული ადამიანების საოცარი რეაქციები... მუსიკა ადამიანებს აერთიანებს და ეს ყველაზე ნათლად ფესტივალებზე ჩანს! დაბოლოს, მე შეყვარებული ვარ! ეს კიდევ ერთი იდეალური გარემო იყო ჩემთვის და ჩემი საყვარელი ადამიანისთვის სასიამოვნო მოგონებების შესაქმნელად...

სალომე შიხაშვილი

ჟურნალისტი, 25 წლის

Open air საუკეთესო საშუალებაა განტვირთვისთვის. ცხელ ზაფხულს და დამღლელ სამუშაო დღეებს დროებით დავაღწიეთ თავი... სუფთა ჰაერი, მუსიკა, მეგობრები და ჩემი უსაყვარლესი მეორე ნახევარი - აი, რა არის ბედნიერება.

თენგო ოკუჯავა

ჟურნალისტი, 24 წლის

ვფიქრობ, წლევანდელმა ფესტივალმა კარგად ჩაიარა. მოსული ხალხის უკმაყოფილო არ დარჩენილა. მართალია, მინდოდა, რომ ორგანიზატორებს უფრო სახელოვანი ჯგუფები ჩამოეყვანათ, მაგრამ მერე რაც მოვისმინე, იმის მიმართაც არ დავრჩი გულგრილი. ძალიან მომეწონა ქართველი შემსრულებლების გამოსვლა. ყველაზე კარგი შთაბეჭდილება ჩემზე Loudspeakers-მა, Green Room-მა, Kung Fu Junkie-მ და The Pulse-მა დატოვა. ასევე გამოვარჩევდი რამდენიმე უხოურ ჯგუფსაც, რომლებიც მე პირადად აქამდე მოსმენილი არ მქონდა. აი, მაგალითად Ночные Снайперы კარგად გამოვიდა და ჩემთან ერთად სხვა ბევრი ადამიანიც აიყოლია. იმედია, შემდეგი ფესტივალი წინაზე უკეთესი იქნება.

ლანდშაფტის დიზაინისა და მებაღეობის გამოფენები

გამოფენების ცენტრ „ექსპო ჯორჯიაში“ ლანდშაფტის, მებაღეობის, მოწყობილობებისა და ხელსაწყოების საერთაშორისო გამოფენა გაიმართება, შემოდგომის სეზონზე, 24-27 სექტემბერს.

ამოფენების ცენტრი „ექსპო ჯორჯია“ მრავალია წელია, აწყობს საერთაშორისო გამოფენებს, რომლის საშუალებით ინდუსტრიის მოთამაშეები ზრდიან საკუთარ ბიზნესს, ნახულობენ ახალ შესაძლებლობებს, ურთიერთობენ საქართველოსა და სამხრეთ კავკასიის ბიზნესმენებთან.

გამოფენაზე ერთმანეთს ხვდებიან ლანდშაფტის დიზაინერები, უძრავი ქონების დეველოპერები, მუნიციპალიტეტის წარმომადგენლები, მებაღეობის მასალების, მომსახურებისა და პროდუქტების მომწოდებლები. გამოფენაზე წარმოდგენილია უამრავი პროდუქტი, ტარდება მოლაპარაკებები, ფორმდება ხელშეკრულებები. >

2006 წლამდე ადგილობრივი მთავრობა, სახელმწიფო სამშენებლო კომპანიები და დეველოპერები ჯეროვნად არ აფასებდნენ ლანდშაფტის დიზაინის როლს საჯარო სივრცეების განვითარებაში, რაც აისახებოდა მცენარეების იმპორტსა და ადგილობრივ წარმოებაზე. 2006 წლიდან ლანდშაფტის დიზაინის მიმართ ინტერესი გაიზარდა, დღეს ეს მიმართულება ქალაქის განვითარების განუყოფელ ნაწილად იქცა.

ამოფენაზე მონაწილეები შემოგვთავაზებენ შესაღებ მასალებს, ყვავილებს, მცენარეებსა და სათესლე მასალას, შადრევნებსა და დეკორს, ბაღის ავეჯს, დანადგარებსა და ხელსაწყოებს, სათბურებს, სარწყავ სისტემებს, გაზონის მოვლის საშუალებებს, განათების სისტემებს, მოსაპირკეთებელ მასალებს, პესტიციდებსა და სასუქებს, მცენარეთა დაცვის პროდუქტებს, ქოთნებს, მილებსა და ტუმბოებს,





სკულპტურებს, დეკორატიულ ქვებსა და გრანიტს, აუზებსა და წყლის სისტემებს.

ლანდშაფტის დიზაინის მნიშვნელობა ნათელია კერძო დეველოპერებისა და ადგილობრივი მთავრობისთვის, მით უმეტეს, როდესაც ქვეყნის ერთ-ერთი პრიორიტეტია ტურიზმის სექტორისა და მისი ინფრასტრუქტურის განვითარება.

იმედია, ეს გამოფენა წარმატებულ სტარტს აიღებს და ინდუსტრიის განვითარებაში მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს.

TAJ MAHAL

ИДЕАЛУРИ ЗАФХУЛИ

გიორგი ნაზღაიძე

ტელეწამყვანი

I. 3 იდეალური ადგილი შვებულებისთვის...
GEORGE NAZGAIDZE. ბალი, იბიცა, ინდოეთი... გააჩნია, სიმშვიდე გჭირდება თუ თანახმა ხარ, გადაეშვა თავზეხელაღებულ საღამოებში.

I. 3 სიმღერა საზაფხულო ფლეილისტიდან...
G. N. სხვათაშორის, არ მაქვს ამოჩემებული სიმღერები, ყველაფერს ვუსმენ განწყობის მიხედვით.

I. ყველაზე ბედნიერი საზაფხულო მოგონება ბავშვობიდან...
G. N. ერთს ნამდვილად ვერ გამოვარჩევ.

I. საყვარელი საზაფხულო სასმელი...
G. N. ვისკი, ყოველთვის ვისკი.

I. 3 საყვარელი სასტუმრო...
G. N. ერთსა და იმავე სასტუმროში არასოდეს ვჩერდები. მთავარია, სასტუმრო იყოს კომფორტული.

I. ფილმი, რომელთანაც ზაფხული ასოცირდება...
G. N. „ევროტური".

სუნამო
TOM FORD

MALDIVES

IBIZA

EUROTRIP

სათვალე
MAUI JIM
"Aloha Friday"

I. წიგნი პლაჟისთვის...
G. N. ელზა ტრიოლეს „ვარდები ნისიად".

I. 3 აუცილებელი ნივთი ზაფხულში...
G. N. მზის სათვალე და აუცილებლად ტელეფონი.

I. ყველაზე ლამაზი პლაჟი...
G. N. მალდივის კუნძულები.

I. ზაფხულის საყვარელი არომატი...
G. N. ტომ ფორდი.

I. იდეალური საზაფხულო კერძი
G. N. სტრიკი სოკოს სოუსით, გარნირად ფრი.

I. ზურგჩანთა თუ ჩემოდანი?
G. N. რა თქმა უნდა, ჩემოდანი.

ჩემოდანი
LOUIS VUITTON

BALI

New York Fashion Week 2014

5. თვის გამოფენა
MIDORA LEIPZIG – 2014 – საათებისა და საიუვილერო ნაწარმის გამოფენა ლაიპციგში (*გერმანია*);

4. თვის ტექნოლოგიური მოლოდინი
სმარტფონი Nokia X2;

3. BEAUTY მოლოდინი
კრისტიან ლაბუტენის (*Christian Louboutin*) ფრჩხილის ლაქი;

2. თვის ტური
მუზეუმები, მაღაზიები, რესტორნები, გალერეები და ფესტივალები – ანტვერპენი (*ბელგია*);

1. თვის კერძი
გოგრის რიზოტო.

INTERVIEW

10. თვის მოვლენა
New York fashion week 2014;

9. MUST HAVE
საზაფხულო პალტო by Carven;

8. თვის წარმოდგენა
ბალეტი „ანა კარენინა“ (*მონაკო*);

7. თვის ფილმი
The Rover;

6. თვის აქსესუარი
მზის სათვალე Stella McCartney;

EGO EVENTS

ᲩᲕᲔᲜᲗ მენეჯმენტ სააგენტო EGO EVENTS - გთავაზობთ სხვადასხვა ტიპის ღონისძიების ორგანიზებას. კვალიფიციური და კრეატიული გუნდი, თქვენი სურვილების გათვალისწინებით, მოგიმზადებთ ღონისძიების კონცეფციას და განახორციელებს მას.

EGO EVENTS - ᲘᲡ ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲔᲑᲘ, ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘᲗ ᲓᲐ ᲤᲐᲡᲔᲑᲘᲗ:

- ᲙᲝᲛᲞᲐᲜᲘᲘᲡ ᲡᲢᲣᲛᲠᲔᲑᲘᲡ, ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ
- ᲞᲘᲙᲜᲘᲙᲘ ᲐᲜ ᲔᲥᲡᲙᲣᲠᲡᲘᲐ ᲤᲣᲠᲨᲔᲢᲘᲗ ᲓᲐ ᲒᲐᲡᲐᲠᲗᲝᲑᲘ ᲐᲥᲢᲘᲕᲝᲑᲔᲑᲘᲗ
- TEAM BUILDING 1-100 ᲞᲐᲪᲖᲔ
- ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲘᲡ ᲛᲘᲦᲔᲑᲘᲡ ᲐᲜ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲕᲜᲐ 1-100 ᲞᲐᲪᲖᲔ
- ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ, ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ, ᲢᲠᲔᲜᲘᲜᲒᲘ, ᲕᲝᲠᲙᲨᲝᲞᲘ 1-50 ᲞᲐᲪᲖᲔ, 1 ᲐᲜ 2 ᲓᲦᲔ

ᲔᲥᲡᲙᲚᲣᲖᲘᲕᲘ:

ზემოთ ჩამოთვლილი ყველა მომსახურების გაწევისას, კვებასა და დაბინავებაზე მიიღებთ ექსკლუზიურ ფასდაკლებას.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲛᲔᲓᲘᲐ ᲞᲐᲠᲢᲜᲘᲝᲠᲔᲑᲘ

ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲔᲑᲘ:

2 946 446
579 77 50 45
k.natsvlishvili@flit.ge

Flit Advertising | Flit Media | Flit Production

სარეკლამო-საკომუნიკაციო ჯგუფი



flit Flit group

გრაფიკული და საკომუნიკაციო დიზაინი | ოფსეტური, ციფრული და ფართოფორმატიანი ბეჭდვა | სარეკლამო კონსტრუქციების წარმოება და მონტაჟი

მედია დაგეგმარება | ღონისძიებების ორგანიზება

flit.ge

საქართველოს საკომუნიკაციო სააგენტოების ასოციაციის წევრი